საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყეიღებით და ჭიერებით ბეჭთის გაცანა ყველა უკანონისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 25 მაისი. 2018 წ. №110 (8511), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მოვუწოდებთ ჩვენს სამღვდელოებას, შეწყვიტონ ყოველგვარი ურთიერთობა „რუსთავი-2“-თან!



საპატრიარქოს განცხადება

17 მაისის შემდეგ ის ძალები, რომლებიც ეკლესიას კარგა ხანია, უპირისპირდებიან, როგორც ჩანს, ახალი სიმწვავით იწყებენ რევანშისტული ქმედებების განხორციელებას, რაც ჯერჯერობით ყველაზე მკვეთრად „რუსთავი-2“-მა გამოხატა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საპატრიარქომ წერილობით მიმართა აღნიშნული ტელევიზიის ხელმძღვანელს, რეაგირება მოეხდინა სიცრუის ტირაჟირების გამო (რასაც შეიძლება მსოფლიო საპატრიარქოსა და ჩვენს ეკლესიას შორის უსიამოვნება მოჰყოლოდა), სამწუხაროდ, იმავე საღამოს პასუხად მივიღეთ ღვთის მგმობი ახალი გადაცემა.

ამ ქმედებების სულისკვეთება ერთია, — სურთ ჩვენი საზოგადოება წარმოაჩინონ თავისუფალი აზროვნების მოწინააღმდეგედ; (ამასთან, „თავისუფლებაში“ ისინი უზნეობის და რელიგიური სიწმინდეების შეურაცხყოფის უფლებას გულისხმობენ), ხოლო ჩვენი ეკლესია, — პრორუსულ ძალად.

ვფიქრობთ, მათ არ ესმით, რომ ეკლესია ქრისტეს სხეულია და იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკასთან დაკავშირებული, არც პრორუსულთან და არც — პროდასავლურთან. გადაცემები კი იმდენად ცინიკური და უტიფარია, რომ ხალხის საერთო აღშფოთებას და ქვეყანაში დაძაბულობას იწვევს.

თვალში საცემია ის ფაქტიც, რომ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება ძირითადად მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მრევლისადმი ვლინდება. შერჩევითი სამართლით მოქმედი უმეტესი ნაწილი უფლებადამცველთა და არასამთავრობო სექტორისა კი ასეთ სერიოზულ ფაქტებზე დუმილს არჩევენ. არც ხელისუფლებას აქვს სათანადო კანონები და სტრატეგია შემუშავებული, რაც საერთო დაუცველობისა და უსამართლობის მკვეთრ განცდას ბადებს.

მიუხედავად იმისა, რომ მაცხოვრისა და ღვთისმშობლის კვართის მცველ და ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში საჯაროდ შეურაცხყვეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე და ყოვლადწმინდა მარიამი, ამასთან, ვრცელდება ცილისმწამებლური განცხადებები, ჩვენ მაინც მოვუწოდებთ მრევლს, რომ არ აყვნენ პროვოკაციებს, რადგან მავანთა სურვილი სწორედ შფოთისა და არეულობის შემოტევაა და მათ მიზნის განხორციელებაში ხელი არ უნდა შევუწყოთ.

პირველ რიგში, მოვუწოდებთ ჩვენს სამღვდელოებას, შეწყვიტონ ყოველგვარი ურთიერთობა „რუსთავი-2“-თან, არ მისცენ ინტერვიუ და არ მიიღონ მათ არც ერთ გადაცემაში მონაწილეობა. სასურველია, იგივე გაითვალისწინონ მათ, ვისთვისაც ღირებულია ჩვენი ეკლესია და ჩვენი ფასეულობები.

ასევე მივმართავთ საქართველოში მყოფ საერთაშორისო ორგანიზაციებს და იმ უცხოელ დონორებს, რომლებიც დასავლური ღირებულებების ჩვენს ქვეყანაში გავრცელებას უწყობენ ხელს, — დაანახეთ საზოგადოებას, რომ ევროპული დემოკრატია არ არის ხალხის უდიდესი უმრავლესობის აზროვნების წესის და მათი რელიგიური გრძნობების უგულებელყოფა, რათა ჩვენს მოქალაქეებს არ შეექმნათ არასწორი წარმოდგენა და განწყობები.

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, გადადგან ქმედითი და სწრაფი ნაბიჯები, რათა შეიქმნას საზოგადოების დამცავი სამართლებრივი და სხვა სახის მექანიზმები და გატარდეს შესაბამისი პოლიტიკა, რომ ქვეყანა არ დადგეს უმართავი პროცესების განვითარების საშიშროების წინაშე.

შევთხოვთ ღმერთს, „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით!

იმედია, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ხალხთან და საზოგადოებასთან ერთად დროულად გამოეხმაურება ჩვენი დედაეკლესიის მკაცრ, მაგრამ სამართლიან პოზიციას და მოუწოდებს ქართულ ბიზნესს, რომ შეწყვიტოს ყოველგვარი ფინანსური ურთიერთობა ანტისახელმწიფოებრივ, აშკარად ერთპარტიულ, ნაცისტურ „რუსთავი-2“-თან!

პრეზიდენტმა 143 მსჯავრდებული შეიწყალა

როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძემ განაცხადა, აქედან 84 მსჯავრდებული დღესვე დატოვებს საპატიმრო დაწესებულებას, ხოლო 59 მსჯავრდებულს შეუმცირდა დარჩენილი საპატიმრო სასჯელი.

„საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა შეწყალების აქტი. გიორგი მარგველაშვილმა შეიწყალა 143 მსჯავრდებული. აქედან 84 მსჯავრდებულმა უკვე დატოვა საპატიმრო დაწესებულება, ხოლო 59 მსჯავრდებულს შეუმცირდა დარჩენილი საპატიმრო სასჯელი. შეწყალების კომისია 16-დან 19 მაისის ჩათვლით მუშაობდა. სულ განვიხილეთ 1347 მსჯავრდებულის საქმე“, — განაცხადა ზვიად ქორიძემ.

კეთილშობილი ქართველი თავადი კოტე აფხაზი

7

ბოლო თხუთმეტი წუთი...

3

100 წელი
საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან

მეუფე იობი: „მე მას ვწყევლი და შევაჩვენებ... ეგ არის ეშმაკის მსახური... ეს ტელევიზია უნდა გაუქმდეს“

მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა ქადაგებისას სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის მოადგილე და თოქ შოუ „არჩევანის“ წამყვანი გიორგი გაბუნია, ამავე გადაცემაში გაკეთებული განცხადების გამო დაწყევლა და „რუსთავი-2“-ის გაუქმება მოითხოვა.

◎ დღის ამოჭრაზურიდან

— რას ერჩით ამ ჯულიეტოვნას?! იქნებ სწორადაც გამოფინა საფეთქელზე იარაღმიდებული ღვთისმშობელი, რომელსაც სიცოცხლე გაუმწარეს ნაციონალებად დარჩენილმა ნაციონალებმა და ევროპულ საქართველოდ სახელშეცვლილმა ისევ ნაციონალებმა...

— ქართველებო, ან ისევ საქართველოს დაამგვანეთ თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო, ან არადა, აღარ მინდა ამ ჩემს წილხვედრ ქვეყანაში სიცოცხლე. აი, რაც უჩემოდ დაგემართებათ, მერე ვნახოთ!..

აირჩიეთ — ან მე, თქვენი მფარველი ღვთის დედა და ან, ქვეყნის დამღუპველი, ადამიანისსახედაკარგული ნაციონალები... დროზე მოდით გონს!

ნაციონალებმა ღვთისმშობელსაც სიცოცხლე მოაბეზრეს!

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი: მსურს, მკაფიოდ განვაცხადო, რომ საქართველოსთან მიმართებით ვმუშაობთ ნატოში გაწევრებაზე

საქართველო ძალიან მაღალ დონეზე დგას აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ყოველდღიური საქმიანობის დღის წესრიგში, – ამის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარემ ედ როისმა და თანათავმჯდომარემ ელიოტ ენგელმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან დღევანდელ შეხვედრაზე განაცხადეს.

კონგრესმენმა როისმა აღნიშნა, რომ საქართველოს შეუძლია ჰქონდეს მისი, როგორც მოკავშირის იმედი. საუბარი შეეხო ნატოს მომავალ სამიტს და საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის მნიშვნელობას. აღინიშნა, რომ საქართველოს მხარდამჭერი არაერთი განცხადება გაკეთდა დღეს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში, სადაც აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოსმენა გაიმართა.

მაიკ პომპეომ კომიტეტში გიორგი კვირიკაშვილთან ერთად აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის სხდომაზე ისაუბრა და განაცხადა – **„მსურს, მკაფიოდ განვაცხადო, რომ საქართველოსთან მიმართებით ვმუშაობთ ნატოში გაწევრებაზე“.**

ედ როისი: მოსკოვი ცდილობს საბჭოთა სტილის გავლენების დამკვიდრებას, მაგრამ ამერიკა არ არის ნეიტრალური, როდესაც მეგობარი ქვეყნები საფრთხეშია

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით შეერთებული შტატების მშვიდობის ინსტიტუტში საზეიმო მიღება გაიმართა. ღონისძიებას ამერიკის პოლიტიკური წრეების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ. საზეიმო ღონისძიებების სტუმრებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიმართა. გიორგი კვირიკაშვილმა ვაშინგტონში ვიზიტის წარმატებასა და საქართველოს მიმართ შეერთებული შტატების მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

სტუმრებს სიტყვით მიმართა აშშ-ის კონგრესმენმა ედ როისმა, რომელმაც საქართველოს ოკუპაციაზე ისაუბრა, რუსეთი მკაცრად გააკრიტიკა და ჩვენს ქვეყანას მტკიცე მხარდაჭერა გამოუცხადა.

„მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია არღვევს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს. ჩვენ გვესმის რომ მოსკოვის ქმედებები საქართველოში არის უფრო ფართო სტრატეგიის ნაწილი და მეზობელი ქვეყნების კონტროლსა და დაშინებას ემსახურება. მოსკოვი ცდილობს საბჭოთა სტილის გავლენების დამკვიდრებას, მაგრამ ამერიკა არ არის ნეიტრალური, როდესაც მეგობარი ქვეყნები საფრთხეშია,“ – განაცხადა როისმა.

საქართველო ახალი სავაჭრო-საინვესტიციო შესაძლებლობების წინაშე

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მოხსენება გააკეთა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის მეორე ყოველწლიურ კონფერენციაზე „პირველი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წელი“.

კონფერენციის მეორე ნაწილი სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებს მიეძღვნა, რომლის დროსაც განხილული იყო საქართველოს, როგორც სტრატეგიული მდებარეობის მქონე ქვეყნის შესაძლებლობები რეგიონალური ეკონომიკური თანაშრომლობის განვითარებისთვის. ასევე გამახვილებული იყო ყურადღება საქართველოს ორმხრივ ურთიერთობებზე აშშ-სა და ევროკავშირთან.

თავის გამოსვლაში, საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი აშშ-ის მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, აგრეთვე ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართ. მისი თქმით, საქართველოში განხორციელებულმა ბიზნესისადმი მეგობრულმა პოლიტიკამ, ძლიერმა რეგიონალურმა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებმა და გეოპოლიტიკურმა ლოკაციამ, ქვეყანა ახალი სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობების წინაშე დააყენა.

საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების საკითხს. მისი თქმით, აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის არსებობა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარებას, გარდა ამისა, ის დადებით სტიმულს მისცემდა ამერიკულ კაპიტალს, რათა მათ ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში განეხორციელებინათ გამომდინარე იმ შესაძლებლობებიდან, რაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია.

მოსკოვში საქართველოს საელჩოს ყოფილი შენობა საქართველოს სახელმწიფოს გადაეცემა

ამის შესახებ რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის შეხვედრაზე გახდა ცნობილი.

„ქონებრივ საკითხებზეც ვისაუბრეთ. მრავალი წლის მუშაობის შემდეგ დადებითად გადაწყდა მოსკოვში ჩვენი საელჩოს შენობის საქართველოსათვის კუთვნილებაში გადაცემის საკითხი. ამაზე წლების განმავლობაში მიმდინარეობს მუშაობა. ჩვენმა საგარეო უწყებამ საკმაოდ წარმატებულად დაასრულა ამ საკითხზე მუშაობა, რაც მისასალმებელია. ძალიან კარგად იმუშავა ამაზე ჩვენმა ინტერესთა სექციამ რუსეთში“, – აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

ტატუნაშვილის მკვლელობას კარასინმა „სამწუხარო ფაქტი“ უწოდა

აბაშიძე-კარასინის მორიგი შეხვედრა დასრულდა. როგორც შეხვედრის შემდეგ ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, ამ შეხვედრაზე რკინიგზის საკითხი არ დამდგარა და არც ერთ კონტექსტში არ განხილულა. რაც შეეხება არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობის საკითხს, ზურაბ აბაშიძის თქმით, კარასინმა განაცხადა, რომ ეს სამწუხარო ფაქტია და მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორდეს.

„რუსმა კოლეგამ განაცხადა, რომ ეს სამწუხარო ფაქტია, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რათა ასეთი რამ აღარ განმეორდეს. თქვა ის რასაც ველოდი, რომ ამაზე საუბარი უნდა გაგრძელდეს ჟენევის ფორმატში,“ – განაცხადა აბაშიძემ.

დე ფაქტო ვამზადებთ საქართველოსა და რუსეთის ლიდერების სამომავლო შეხვედრას

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი აცხადებს, რომ პრაღაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრით დე ფაქტო მზადდება საქართველოსა და რუსეთის ლიდერების სამომავლო შეხვედრა.

„მსგავსი შეხვედრა, ასეთ მაღალ დონეზე სერიოზული პოლიტიკური მოვლენაა. აქ, პრაღაში შეხვედრით დე ფაქტო ვამზადებთ მსგავსი ტიპის შეხვედრას სამომავლოდ. თუ რაიმეს შეთავაზება შეგვეძლება ორი სახელმწიფოს ლიდერისთვის, რა უნდა განიხილონ პირდაპირ შეხვედრაზე, ნამდვილად წავალთ ამაზე, მაგრამ ჯერ ეს ჰიპოთეტურია“, – აღნიშნა გრიგორი კარასინმა.

ტატუნაშვილის, ოთხოზორიასა და ბაშარულის მკვლელობები... გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის წინაშე

არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიასა და დავით ბაშარულის მკვლელობები ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის წერილობით ანგარიშში მოხვდება და ის 39-ე სესიაზე განიხილება. ინფორმაცია გაეროს კომისრის ოფისს სახალხო დამცველმა უკვე გაუგზავნა. საოკუპაციო რეჟიმის მიერ საქართველოს მოქალაქეების მკვლელობის გარდა, გაგზავნილი ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის, მათ შორის, გადაადგილების თავისუფლებისა და გამყოფ ხაზებზე უკანონო დაკავებების ფაქტებსაც უკავშირდება.

„საქართველოს სახალხო დამცველმა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციის „საქართველოსთან თანამშრომლობის“ ფარგლებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

2017 წელს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა წარადგინა ანგარიში – „თანამშრომლობა საქართველოსთან“, რომელიც საქართველოში და განსაკუთრებით კი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების მდგომარეობას მიმოიხილავდა. 2018 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ კვლავ დაავალა ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს, წარედგინა ახალი ანგარიში, რომელიც ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს ასახავს.

სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოწოდების თანახმად წარადგინა ინფორმაცია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უკანასკნელ პერიოდში დაფიქსირებულ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე, მათ შორის, გადაადგილების თავისუფლებისა და გამყოფ ხაზებზე უკანონო დაკავებების, განათლების, საკუთრების უფლების დარღვევისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებზე. სახალხო დამცველის წარდგინება ვრცლად მიმოიხილავს ცხინვალში გარდაცვლილი არჩილ ტატუნაშვილის საქმეს და სამოქალაქო აქტივისტის თამარ მეარაყიშვილის მიმართ განხორციელებულ ზეწოლას.

წარდგინებაში საუბარია რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობაზე აღნიშნულ ადამიანის უფლებების დარღვევათა ფაქტებზე და ასახულია მოწოდებები რუსეთის ფედერაციის მიმართ, რათა შეწყდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, უზრუნველყოფილ იქნას მართლმსაჯულების განხორციელება ეთნიკური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე და მოიხსნას ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ა. ტატუნაშვილის, გ. ოთხოზორიასა და დ. ბაშარულის სიცოცხლის უკანონო ხელყოფაში დამნაშავე პირების დასჯას, შეწყდეს ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზებზე ადამიანების უკანონო დაკავებები და ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარულ საერთაშორისო ორგანიზაციებს ჰქონდეთ წვდომა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით.

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი ზეპირ მოხსენებას ადამიანის უფლებათა საბჭოს 38-ე, ხოლო წერილობით ანგარიშს საბჭოს 39-ე სესიაზე წარადგენს,“ – ნათქვამია განცხადებაში.

„საქართველო შეიარაღებით ვერავის გააკვირვებს“

26 მაისს — საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მთავრობა სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნავს, თუმცა სამხედრო აღლუმი არც წელს გაიმართება. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აღლუმის ჩატარების საჭიროებას ვერ ხედავს. სესიაშვილის არგუმენტი ასეთია — „საქართველო შეიარაღებით ვერავის გააკვირვებს“.

„ცივი ომის დროს აღლუმის არსი ორ დაპირისპირებულ დიდ მხარეებს შორის იყო ის, რომ მოეხდინათ ერთმანეთის წინააღმდეგ საკუთარი ძალისა და ტექნიკის დემონსტრირება, რაც იყო იმ საუკუნისთვის, იმ საინფორმაციო სივრცისთვის ზემოქმედების გარკვეული მექანიზმი. XXI საუკუნეში აღლუმი... ზოგადად ზეიმს უნდა ჰქონდეს ზეიმის ფორმა, ჩვენ ჩვენი იარაღითა და ტექნიკით ვერავის გავაკვირვებთ,“ — აცხადებს ირაკლი სესიაშვილი.

საპარლამენტო უმრავლესობის კიდევ ერთი წევრის, ვიცე-სპიკერ გიორგი ვოლსკის განმარტებით კი 26 მაისის დღესასწაულზე სამხედრო კომპონენტი იქნება წარმოდგენილი, თუმცა არმიის მომზადების დემონსტრირება სამხედრო ოპერაციების დროს უნდა მოხდეს:

„სამხედრო კომპონენტი იქნება ძალიან სერიოზულად წარმოდგენილი და მნიშვნელოვანწილად ამას ექნება სამშვიდობო არსი სამშვიდობო შინაარსობრივი დატვირთვა. სამხედრო მომზადება და არმიის მომზადება საკმაოდ ნათლად ჩანს უკვე რეალურ ოპერაციებში, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო ატარებს“, — აცხადებს გია ვოლსკი.

განსხვავებული არგუმენტები აქვთ ოპოზიციაში. კერძოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერ ნიკა რურუას აზრით, ხელისუფლებას არ სურს, საზოგადოებას შეახსენოს, რომ ქართული ჯარი წინა წლებში ნატოს სტანდარტის შესაბამისად გაიწვრთნა.

მისივე თქმით, ხელისუფლება საქმის ისე წარმოჩენით, თითქოს ქვეყანა არაა ოკუპირებული და ბრძოლისუნარიანი, მტერს კიდევ უფრო აქეზებს:

„ჩვენი ჯარი შექმნილია, წინა წლებში, მთელი ტექნიკით, შენაერთებით, ჰარმონიზაციით ნატოსთან და როგორც ჩანს ამის გახსენება საზოგადოებისთვის არ უნდათ, რაც თავისთავად სირცხვილია. ეს მიანიშნებს მათ ღრმა კომპლექსებზე. თუ მშვიდობა გვინდა, უნდა ვაჩვენოთ მზაობა თავდაცვისთვის — ამისთვის არის აღლუმი.

აღლუმს როცა აკეთებ ისე, ვითომ არაფერი ხდება, ვითომ შენი ქვეყანა ოკუპირებული არ არის, ვითომ შენ მზად არ ხარ ბრძოლისთვის, მეტ აგრესიას ეპატიჟები მტრისგან. საჭიროა, ვაჩვენოთ ერთიანობა და მზადყოფნა ჩვენი დემოკრატიის დასაცავად“, — აცხადებს ნიკა რურუა.

აღლუმის არ გამართვის მთავარ მიზეზად „ევროპული საქართველოს“ წევრი ირმა ნადირაშვილი მმართველი გუნდის პრეზიდენტისადმი დაპირისპირებას მიიჩნევს.

ნადირაშვილის თქმით, იმის ნაცვლად რომ ასეთი თარიღები ქვეყნის წარმოსაჩენად გამოიყენოს საქართველო ხელისუფლებამ, ის დროს ფუჭ დავაში კარგავს.

„სამწუხაროა, რომ ჩვენ გვყავს ხელისუფლება რომელიც გადაწყვეტილებას იღებს არა იმის მიხედვით, რა წაადგება ქვეყანას, არამედ იმის მიხედვით, თუ ვინ არის ქვეყნის პრეზიდენტი, მათთვის მოსაწონია თუ არა, ანდობენ თუ არა მას აღლუმის ჩაბარებას. სამწუხაროა, რომ ამ პერსონალურ გადაწყვეტილებას და ამ კატათაგვობანას თამაშს პრეზიდენტთან ეწირება ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები“, — აცხადებს ნადირაშვილი.

◎ „კაი ბიჭებს გაუმარჯოს“!

ბოლო თხუთმეტი წუთი...

1989 წელს, 26 მაისს პარიზში შევხვდი. 9 აპრილის ტრაგედია ახალი მომხდარი იყო, რამაც დღესასწაულს სამგლოვიარო დაღი დაასვა. ჟურნალ „ჩვენი დრონის“ სამგლოვიარო ნაწილს წამძღვარებული აქვს თავდადებული მამულიშვილების, 1923 წელს დახვრეტილი გენერლების — ვარდენ წულუკიძისა და დიდი ილიას დისშვილის, კოტე აფხაზის სიტყვები. ჟურნალში გამოქვეყნდა ნოე ჟორდანიას წერილი „ერის დღესასწაული — 26 მაისი“, სადაც ნათქვამია: „26 მაისი ბუდობს თვითეულ ქართველში; ის აღარ ფრიალებს გამოჩენილად საქართველოში. ის ფრიალებს გამოუჩენლად ყველა ქართველში. აი, ეს მორალური ძალა, ეს სულიერი სიმტკიცე და ურყევი იდეალი არის აუღებელი სიმაგრე, რასაც შეასკდება მტერთა იერიშები...“ ამავე რწმენით არის გამსჭვალული ჟურნალის რედაქტორის, ბ-ნი ლევან ფაღავას სიტყვები: „ვიხაროთ ქართველნო, რადგან მოდის ძალა, ძალა მსხვერპლთა გამარჯვებისა, ის უკვე მოსულია, მის ძლევამოსილ სვლას ვერავინ შეაჩერებს, და თეთრი გიორგი, თეთრ ტაიჭზე შემართული, ტრიუმფატორგამარჯვებული — დიადი 26 მაისის თავისუფლების სამფეროვანი დროშა კვლავ მოევლინება ჩვენს ტანჯულ სამშობლო საქართველოს“.

26 მაისი საზეიმოდ აღინიშნა. სიტყვით გამოვიდნენ ბ-ნი თამაზ ნასყიდაშვილი, აგრეთვე უნგრელი, სომეხი, ლიტველი სტუმრები და სხვა. ამ უკანასკნელმა განაცხადა, ქართველმა და ბალტიისპირეთის ხალხებმა ერთმანეთს უნდა ჩავკიდოთ ხელიო. საგულისყურო იყო ფრანგი ექიმის გამოსვლა. მას საქართველოდან წაუღია 9 აპრილს დაზარალებულთა ავადმყოფობის ისტორიები და მათი თარგმნა ჰქონდა განზრახული, რათა მსოფლიოსთვის ემცნო საქმის ჭეშმარიტი ვითარება.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დამსწრე საზოგადოებაზე 9 აპრილის ვიდეომ მოახდინა. მაყურებელმა გულის შემძვრელი სურათები იხილა. ჩემ გვერდით ავღანელი სტუმარი იჯდა. მას დიდად არაფერი გაჰკვირვებია...მეორე განყოფილება საბანკეტო დარბაზში გაგრძელდა. მე და უცხოელი სტუმრები ერთ მაგიდასთან მოვხვდით, რადგან ისინი იყვნენ ბ-ნი ვიქტორ ხომერიკის (დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრის, 1923 წელს დახვრეტილი ნოე ხომერიკის ვაჟის) მეგობრები, რომელმაც ამ ზეიმზე მიმიყვანა.

ბალტიისპირელი სტუმარი ლიტვის სათვისტომოს თავმჯდომარე გამოდგა დამოუკიდებელი ლიტვის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის შვილი. მან ბევრი რამ მკითხა საქართველოს შესახებ. შუახნის უნგრელი (ვიქტორ ხომერიკის დახასიათებით, „მაგარი ბიჭი“) უნგრეთის 1956 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ყოფილა. მას ბევრი ტანჯვის შემდეგ ჩაუღწევია საფრანგეთში, სადაც საქვეყნოდ მოუყოლია იმ ქართველი ჯარისკაცების თავგანწირვის შესახებ, რომლებმაც უარი თქვეს უნგრელი ხალხის წინააღმდეგ იარაღის აღმართვაზე.

„მებრძოლი“ — ასე წარმიდგინეს ავღანელი სტუმარი. ეს თავდაჭერილი, ელეგანტური, ხუთი ენის მცოდნე ადამიანი სრულიად არ ჰგავდა იმ „დუშმანს“, რომელსაც საბჭოთა პროპაგანდა წლების მანძილზე გვიხატავდა. ის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ყოფილა. არ ვიცი, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ როგორც მითხრეს, მას გარკვეული ნაბიჯები გადაუდგამს ქართველი ტყვეების დასახმარებლად.

ბოლოს, ქართული სიმღერების შემსრულებელი ამერიკელი სტუდენტების ჯგუფი მოვიდა ჩვენს სუფრასთან. მე მათ მადლობა გადავუხადე ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის. „არაფერია“ — ქართულად მიპასუხა ფრენკლინ კეინმა და „ქართული ანსამბლის“ კონცერტის ჩანაწერს დამპირდა. აასრულა კიდეც დანაპირები. ჩემი წამოსვლის წინა დღეს, გამოსამაშვიდობებელ სადილზე მაგნიტოფონის ფირი მომიტანა ქართულ რესტორანში. აქვე მისახსოვრა თავისი ჟურნალი ბ-ნმა ლევან ფაღავამ.

დამსწრეთაგან ზოგი 1924 წლის აჯანყების მონაწილე იყო, მათ შორის 97 წლის ბ-ნი აპოლონ ანთაძე.

„კარგ ბიჭებს გაუმარჯოს!“ — ასე ადღეგრძელებდნენ ისინი ერთმანეთს და შეუძლებელი იყო, მთელი გულით არ შეერთებოდი ამ სადღეგრძელოს. საქართველოში ასე დამაბარეს: „ფრანგები ამბობენ, ბრძოლაში ბოლო 15 წუთი გადამწყვეტად ითვლებაო. ჩვენ გვინდა, რომ ეს ბოლო თხუთმეტი წუთი თქვენ გვერდით ვიდგეთ!“

მანანა ხომერიკი

სექტემბრიდან თბილისს 11 ახალი საბავშვო ბაღი შეემატება

კახა კალაძის თქმით, 11-დან ცხრა შენობაში ახალი ბაგა-ბაღი განთავსდება, ხოლო ორი გაფართოვდება და აქამდე არსებულ ბაგა-ბაღებს კორპუსების სახით შეემატება. ახალი შენობების გახსნით სკოლამდელი განათლების მიღებას დამატებით 3000-მდე აღსაზრდელი შეძლებს.

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, ბაგა-ბაღებში ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, პრობლემები არსებობს.

„ბაღების მიმართულებით შენობა-ნაგებობებზე და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით პრობლემები არსებობს. ჩვენ ამაზე არაერთხელ გვისაუბრია და ეს ყველაფერი უნდა მოწესრიგდეს. რამდენიმე ბაღში, როდესაც ექსპერტიზა ჩატარდა, სწავლა შეჩერდა, რათა ყველანაირი პრობლემა თავიდან იყოს აცილებული. შესაბამისად, სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. დაიწყება 12 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია. ასევე, გვაქვს კონკრეტული ბაღები, რომელსაც დემონტაჟი სჭირდება და პროექტები თავიდან უნდა განხორციელდეს. ეს სამუშაოებიც წელს დაიწყება. რა თქმა უნდა, ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა მომავალ წელსაც გაგრძელდება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ბავშვებმა სკოლამდელი განათლება უსაფრთხო და კომფორტულ გარემოში უნდა მიიღონ, რისთვისაც თბილისის მერია მაქსიმუმს გააკეთებს.

ელექტროავტობუსებისა და ელექტრომიკროავტობუსების იმპორტი დღგ-სგან გათავისუფლდება?!

დედაქალაქის მერია ინიციატივით გამოდის, ელექტროავტობუსებისა და ელექტრომიკროავტობუსების იმპორტი და ადგილობრივი მიწოდება დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდეს და შესაბამისი წინადადებით საქართველოს პარლამენტს მიმართავს.

„მინდა, გაგაცნოთ ჩვენი ახალი ინიციატივა, რომლის თაობაზე უკვე მქონდა საუბარი ფინანსთა მინისტრთან. ერთობლივად განვიხილეთ და შევჯერდით, რომ პარლამენტს შევთავაზოთ ჩვენი წინადადება ცვლილებებთან დაკავშირებით. გვინდა, რომ ელექტროავტობუსები და ელექტრომიკროავტობუსები დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდეს იმპორტისა და ადგილობრივი მიწოდების შემთხვევაში“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერი დარწმუნებულია, რომ აღნიშნულ ინიციატივას საკანონმდებლო ორგანო მხარს დაუჭერს.

ამერიკული ორგანიზაციის ოთხი ახალი პროექტი მცხეთა-მთიანეთის მხარეში

450 000 ლარი რამდენიმე სოფლის წყლით უზრუნველყოფისთვის

სულ ახლახან, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში გაიმართა შეხვედრა მხარის გუბერნატორ ლევან ზაუტაშვილსა და ამერიკული დონორი ორგანიზაციის „ელ დი ეს ჩერიტის“ წარმომადგენლებს – მაიკლ და კიმ დონოვანებს შორის.

შეხვედრა ტრადიციულად მომზადდა ა(ა)იპ „ინვესტიციებისა და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანებისა“ და მისი ხელმძღვანელის - გიორგი ატაშვილის მიერ. სამუშაო შეხვედრაში ჩართულნი იყვნენ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი კაპანაძე, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ სეხნიაშვილი და თიანეთის მუნიციპალიტეტის მერი თამაზ მეჭიაური. ხსენებულმა მერებმა ამერიკულ დონორ ორგანიზაციასთან ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც მცხეთის, დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში განხორციელდება სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო ოთხი ახალი პროექტი.

კონკრეტულად კი ეს პროექტები განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ბიწმენდსა და ნავდარაანთკარში, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩანადირთკარში და თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ჟეობოტა-ძებნიაურები-თეგერაანებში. საგრანტო პროექტების საერთო ღირებულება შეადგენს 450 000 ლარს. შესაბამისი სამთავრობო უწყებიდან თანხმობის მიღების შემდეგ, ეს თანხები უშუალოდ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში გადაირიცხება. ამ უმნიშვნელოვანეს პროექტთა განხორციელება ბევრად გაუმჯობესებს რეგიონის მოსახლეობისთვის ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდებას.

სწორედ ამ მომენტს გაუსვა ხაზი მედიის წარმომადგენლებთან საუბარში მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა **ლევან ზაუტაშვილმაც:**

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია სამივე მუნიციპალიტეტისთვის და ვფიქრობ, რომ ისინი წლის ბოლომდე დასრულდება – მოეწყობა ჭაბურღილები შესაბამისი დაქსელვით და ჩვენი მოსახლეობა შეძლებს, მიიღოს მაღალი ხარისხის სასმელი წყალი. ეს პირველი პროექტი არ გახლავთ ჩვენს რეგიონში „ელ დი ეს ჩერიტისაგან“. ისინი ჩვენთან თანამშრომლობას კვლავაც გააგრძელებენ და კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის მოგვარებას შევძლებთ ერთობლივად.

გიორგი კაპანაძე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი: მთლიანად რეგიონზე რომ არაფერი ვთქვა, მარტო მცხეთის მუნიციპალიტეტში „ელ დი ეს ჩერიტს“ სასმელი წყლის სარეაბილიტაციო 5-6 პროექტი აქვს განხორციელებული, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებ. აი ახლაც, ისინი მზად არიან, დააფინანსონ სოფელ ბიწმენდსა და ნავდარაანთკარში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. უკვე დაგროვილი გამოცდილება გვაიმედებს, რომ ამერიკულ მხარესთან ჩვენი თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება. არ შემიძლია, არ გამოვკვეთო ამ საქმეში ა(ა)იპ „ინვესტიციებისა და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების“ ხელმძღვანელის, გიორგი ატაშვილის დიდი დამსახურება რომელმაც მოიზიდა ამერიკული დონორი ორგანიზაცია ჩვენთან სათანამშრომლოდ და კოორდინაციას უწევს პროექტებს.

გიორგი ატაშვილი, ა(ა)იპ „ინვესტიციებისა და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების“ ხელმძღვანელი: „ხსენებული პროექტების განხორციელების მარტივი გეგმა გვაქვს არჩეული – ჯერ ვუკავშირდებით მუნიციპალიტეტების მერებს და ვთხოვთ, გამოკვეთონ თავიანთ ტერიტორიებზე ყველაზე უფრო პრობლემური საკითხები, რომელთა მოგვარებაშიც ჩვენ შეგვიძლია დახმარება, დონორ ორგანიზაციასთან ერთად. შემდეგ ამ პრიორიტეტულ საკითხებს ვათანხმებთ მხარის ხელმძღვანელობასთან და დონორ ორგანიზაციასთან. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შეხვედრა დონორ ორგანიზაციასა და მუნიციპალიტეტის მერებს შორის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებელი თანხა უშუალოდ მუნიციპალიტეტების ანგარიშზე ირიცხება, რის შემდეგაც ისინი გამოაცხადებენ ტენდერს მშენებელი ორგანიზაციის გამოსავლენად. „ელ დი ეს ჩერიტი“ თიანეთში პირველად შედის და იმედი მაქვს, არა უკანასკნელად. მე შევეცადე, ჩვენი დონორების გულამდე მიმეტანა ის გარემოება, თუ რას ნიშნავს თიანეთის მთის სოფლებისათვის, რომლებსაც დაცლა ემუქრება, - რიგიანი სასმელი წყლის არსებობა. მიხარია, რომ ჩვენი დონორები აქაურ პრობლემებს გულისხმიერად ეკიდებიან და შემხვედრ ნაბიჯებს უყოყმანოდ დგამენ. „ელ დი ეს ჩერიტის“ თანამშრომლობა ჩვენთან კეთილ საწყისებზეა დაფუძნებული და ვფიქრობ, ჩვენ ერთად ბევრ სასიკეთო საქმეთა აღსრულებას შევძლებთ.

თამარ თათარაშვილი
მცხეთა.

რატომ არ მოწმდება საქართველოში გაყინული ხორცი?

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი და სამინისტროს შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები ძათმის ადგილობრივ მწარმოებლებს და იმპორტიორებს შეხვდნენ. რადიო „კომერსანტი“ მეფრინველეობის განვითარების ასოციაციის თავმჯდომარეს ზურაბ უჩუმბეგაშვილს ესაუბრა.



„შეხვედრა ნამდვილად ნაყოფიერი იყო, განვიხილეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. პირველ რიგში, ვისაუბრეთ ფრინველის ხორცში ტექნოლოგიური პროცესის შედეგად არსებული წყლის რაოდენობის შემცველობის დადგენის საკითხზე. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში წყლის შემცველობა 4-5-6 %-ით არის ხოლმე განსაზღვრული, საქართველოში კი წყლის შემცველობას არავინ ამოწმებს. ამდენად, რეგულაციები ამ მხრივ საჭიროა, რათა მომხმარებელმა ხორცის ნაცვლად, ფული წყალში არ გადაიხადოს.

ვისაუბრეთ, ასევე კანონზე, რომელიც ქათმის ხორცის შეფუთულ მდგომარეობაში გაყიდვას ითვალისწინებს, ეს კანონი პირველი აგვისტოდან შედის ძალაში. ჰიგიენური თვალსაზრისით, ნამდვილად მისაღებია იგი, თუმცა ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი, მაგალითად ის, რომ მყიდველს არა აქვს ინფორმაცია, როგორ პროდუქციას ყიდულობს. ვიზუალური დათვალიერებისას მყიდველი არჩევს მისთვის სასურველ პროდუქტს, თუმცა შეფუთულ მდგომარეობაში ეს ვერ მოხერხდება. ამასთანავე, აუცილებელია ერთი ფრინველის ტანიდან წარმოებული პროდუქცია იქნას შეფუთული, რაც შეუძლებელს ხდის ქათმის ამგვარ დანაწევრებას, ამასთანავე ძალაუნებურად ღირებულებაც გაიზრდება.

ჩვენი პოზიციაა, რომ უმჯობესი იქნებოდა, ჯერ მიგვეღო კანონი წყლის რაოდენობის შემცველობასთან დაკავშირებით და შემდგომ პროდუქციის შეფუთვაზე. ვფიქრობთ, რომ ალბათ, ბოლომდე ჩახედულები არ იყვნენ ამ საკითხში კანონის ინიციატორები, ან არ გაუვლიათ მათ შესაბამის ექსპერტებთან კონსულტაცია,“ – ამბობს ზურაბ უჩუმბეგაშვილი.

ზურაბ უჩუმბეგაშვილის თქმით, შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაგრძელდება სამუშაო შეხვედრები და აღნიშნული საკითხები დეტალურად იქნება შესწავლილი და შემუშავდება შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები.

„კომერსანტი“

რაში დაიხარჯება 4 მილიონი?

თბილისში, ზოგიერთი ავტობუსის მარშრუტებში ცვლილებები შედის და პროექტის განხორციელებისთვის 4 მლნ ლარი დაიხარჯება. – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„წარმოვადგენთ და განვიხილავთ ავტობუსების მარშრუტებში ცვლილებების შეტანის პროექტს და ვთხოვ ქალბატონ მაიას, მთავრობის სხდომის შემდეგ მოსახლეობას გააცნოს, თუ რა ცვლილებები შედის.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული რაიონები და ქუჩები, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემა არის. არის ქუჩები, სადაც ტრანსპორტი საერთოდ არ მოძრაობს, ან ხშირ შემთხვევაში ძალიან დიდია ლოდინის ინტერვალი. ბევრი ლოდინი უწევთ ადამიანებს, ვიდრე ავტობუსი გამოივლის. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ქუჩები სამწუხაროდ ყველა რაიონშია და როცა ჩვენ ჩამოვიყვანთ ახალ ავტობუსებს და პარკი შეიცვლება, ყველა რაიონში ეს პრობლემა მოგვარდება. პროექტის განხორციელებისთვის 4 მილიონი ლარი დაიხარჯება“, – განაცხადა კალაძემ.

პოლიეთილენის ბოთლების შემგროვებელი აპარატები თბილისში

თბილისში პოლიეთილენის ბოთლების შემგროვებელი აპარატები დამონტაჟდება, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, იდეა პროექტის „შენი იდეა თბილისის მერს“ ფარგლებში, მოქალაქემ წარადგინა:

„ეს პროექტი თანხვედრაშია ნარჩენების მართვის სტრატეგიასთან, რომელიც მუნიციპალიტეტს და ქვეყანას ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან გამომდინარე აქვს. ჩვენ დავიწყეთ ამ იდეაზე მუშაობა და მისი განხორციელება. გვინდა, რომ კერძო სექტორთან თანამშრომლობით, ვისაც გადამუშავებაში ჩართვის სურვილი ექნება, თბილისის მასშტაბით ყველა გამგეობაში უზრუნველვყოთ შემგროვებელი აპარატების დამონტაჟება. მგონია, რომ საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტია“, – განაცხადა კალაძემ.

რას მოგვიტანს ფინური განათლების სისტემის შერწყმა ეროვნულ მოდელთან?!

საქართველოს განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიაში ფინური განათლების გარკვეული ელემენტები იქნება ინტეგრირებული. ჩვენს ეროვნულ მოდელთან ფინური მოდელის შერწყმა მოხდება, რაც არ გულისხმობს რაიმეს პირდაპირ გადმოტანას. როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ლია გიგაური აცხადებს, მინისტრი მიხეილ ჩხენკელი ფინეთის განათლებისა და კულტურის მინისტრს რამდენჯერმე შეხვდა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში ფინელი ექსპერტები ჩაერთვებიან.

ლია გიგაურის თქმით, ფინური მოდელისთვის მთავარია ინტერდისციპლინური და მულტიდისციპლინური მიდგომა, მოსწავლეზე ინდივიდუალური ორიენტაცია, სააზროვნო უნარის განვითარება და არა დაზეპირებაზე ორიენტირებული სწავლება.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ დღესდღეობით საერთაშორისო შეფასებებში ფინური განათლების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია, რას მოგვიტანს ეროვნული მოდელის ფინურ მოდელთან შერწყმა?!

ექსპერტი განათლების საკითხებში **მანანა ნიკოლაიშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ასე ამოგლეჯით არ ხდება რომელიმე მოდელის გადმოღება. მსოფლიოში თითქმის ყველაზე მაღალი ხელფასი აქვს ფინელ მასწავლებელს, 3500 ევროა ფინეთში მინიმალური ხელფასი. საქართველოში კი მასწავლებელთა უმეტესობას ასი ლარიც არა აქვს ხელფასი და როგორ შეიძლება, ეს მოდელი გადმოიღონ, გინდა, ინტერდისციპლინური დაარქვან და გინდა, მულტიდისციპლინური.

„სანამ ჩვენს ქვეყანაში მასწავლებლის პროფესია პრესტიჟული არ გახდება, არაფერი გვეშველება. ეს სახელმწიფოს პრეროგატივაა. სწორედ ხელისუფლებამ უნდა გახადოს მასწავლებლის პროფესია პრესტიჟული. რით ხდება ნებისმიერი პროფესია პრესტიჟული? ერთადერთი კრიტერიუმია მაღალი ხელფასი. ჰელსინკის უნივერსიტეტში ერთ ადგილზე 20 ადამიანი მოდის. ყველაზე უფრო დიდი კონკურსი სწორედ პედაგოგიური პროფილის ფაკულტეტებზეა ფინეთში, ყველაზე საუკეთესო სპეციალისტები შეჰყავთ სკოლებში, რადგან პრესტიჟული ხელფასები აქვთ. გარდა ამისა, ფინელ ბავშვებს უფასოდ საუკეთესოდ კვებავენ, ბავშვები არიან ფუფუნებაში, საღორეებში კი არ ჰყავთ შეყრილი, როგორც საქართველოშია. როგორი სკოლებია საქართველოს მასშტაბით? ჯერ დედაქალაქში რა სკოლებია მატერიალურ-ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე, ან რა სიბინძურე, ანტისანიტარიაა? წყალი არ მოდის ტუალეტებში. ზედმეტი ფული რომ არ დახარჯონ, დირექტორები ეკონომიას ეწევიან. რომელ ფინურ მოდელზეა საუბარი? ბავშვი კარგად უნდა კვებო და მისცე კარგი სახელმძღვანელო. ასევე, კარგი მეთოდური სახელმძღვანელო უნდა მისცე მასწავლებელს. ყველაფერი გადაჯაჭვულია ერთმანეთზე“, — აცხადებს მანანა ნიკოლაიშვილი.

პოეტი **ვაჟა ოთარაშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ განათლების სამინისტრო უვიცებითაა სავსე, რომლებიც უცხო ქვეყნების ემისართა დაკვეთას ასრულებენ უცოდინარი თაობის შესაქმნელად. თუნდაც ის არის უდიდესი შეცდომა, რომ შემოაქვთ ამდენი უცხოური ტერმინი (ინტერდისციპლინური, მულტიდისციპლინური) განათლების სისტემაში მაშინ, როცა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში 220 ათასზე მეტი სიტყვაა განმარტებული. მსოფლიოში, ალბათ, ძნელად მოიძებნება ენა, სადაც ამდენ სიტყვათა მარაგია, როგორც ქართულ ენაში. ამიტომ უცხოურ ტერმინთა რახარუხი დაუშვებელია.

„ყოველ ახალ მინისტრს თავისი ახალი შიზოფრენიული წარმოსახვა აქვს. მე არ მივტირი საბჭოთა ეპოქას, არ მივტირი რომელიმე იმპერიის მონობას, არც პრორუსი ვარ, არც პროამერიკელი, არც პროაზიელი, მე ვარ ქართველი და მახსოვს, რომ ჩვენ გვქონდა უნიკალური განათლების სისტემა. მათ შორის, შეფასების ხუთბალიანი სისტემა. ზუსტად კომუნისტური ეპოქის დროს ისწავლებოდა მშობლიური ენა და ლიტერატურა, დაწყებული იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებიდან“, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელიდან“, „ვეფხისტყაოსნიდან“... ყველაფერი ისწავლებოდა, რაც კი შექმნა დიდი სულიერების მქონე ჩვენმა ერმა. ბავშვი ამით მიდიოდა თავის სათავეებთან, გენეტიკურად დაკავშირებული იყო გრიგოლ ხანძელთან, რუსთაველთან, სულხან-საბასთან, გურამიშვილთან, ბარათაშვილთან, ილიასთან. დღეს ამ ყველაფერს მოვწყვიტეთ მოზარდები. ავკრძალეთ იაკობ გოგებაშვილის დედაენა, ეს უნიკალური სახელმძღვანელო ქართული ენის შესწავლისა. განა ყოველ წელს ახალი იაკობ გოგებაშვილები იბადებიან“?

მისი თქმით, თუკი საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური პარტიის ისტორიას მოვხსნიდით, ის სისტემა იდეალური იყო. მაშინდელი განათლების სისტემა გერმანულ მოდელზე იყო აგებული, რომელიც სტალინმა შემოიტანა იმდროინდელ საბჭოთა კავშირში. დღეს გერმანელებმა ეს მოდელი უკანვე გადაიღეს და ზუსტად ის განათლების სისტემაა გერმანიაში, რომელიც ადრე საბჭოთა კავშირში არსებობდა.

„არაფერს ვამბობ კომუნისტური პარტიის ქადაგებაზე. არც არასდროს ვყოფილვარ პარტიული, კომკავშირელი. უბრალოდ, კარგად ვსწავლობდი, მედალზე დავამთავრე სკოლა, წითელ დიპლომზე ინსტიტუტი და ასპირანტურა. ჩვენ დავანგრიეთ უნიკალური განათლების სისტემა, რომელიც მიუხედავად საბჭოთა წყობისა, ეროვნულ განათლებას აძლევდა ქართველ ბავშვს. ქართველი ბავშვი იყო ამაყი, თავისი ისტორიის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, თავისი ქვეყნის წარსულის მცოდნე. პლუს ამას, ისწავლებოდა ღირებული საზღვარგარეთული ლიტერატურა — შექსპირი, ბაირონი, გოეთე, შილერი, ჰიუგო, პროსპერ მერიმე და ბავშვი გამოდიოდა განათლებული. გენიალურად ისწავლებოდა ფუნდამენტური მეცნიერებები, როგორიც იყო მათემატიკა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, სტერეომეტრია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, დღეს არაფერს ვასწავლით ბავშვებს და ვავიწყებთ, ვისი გორისანი არიან“.

ვაჟა ოთარაშვილის განმარტებით, **სკოლაში ათი საათი ისწავლება მუსიკა, ხატვა, ფიზკულტურა და ათასი სისულელე, ხოლო მათემატიკა მხოლოდ 4 საათი ისწავლება, მშობლიურ ენასა და ლიტერატურას კი 3 საათი ეთმობა. სწორედ ეს არის ნეობოლშევიკური აზროვნებით ქვეყნის დაპყრობა.**

მანანა ნოზაძე

ირაკლი შოთაძე უარყოფს!

საქართველოს მთავარი პროკურორის განცხადებით, ამ ეტაპზე არც ერთი მტკიცებულება არ მოიპოვება, რომ ხორავას ქუჩის საქმეში ბრალდებულების გარდა სხვა ვინმეს აქვს დანა გამოყენებული.

„მიმდინარეობს არსებითი განხილვა. დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას, ვნახოთ სასამართლო რა ფაქტებს მიიღებს, რა ფაქტებს ცნობს დასაშვებად. ამ განაჩენის მიღების შემდგომ, ჩვენ შესაძლებელია, ჩავატაროთ შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. ამ ეტაპზე სისხლის სამართლის საქმეში არც ერთი მტკიცებულება არ მოიპოვება, რომ ამ ორი ადამიანის გარდა, ვინმეს აქვს დანა გამოყენებული. არის არაერთი მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება ბრალდებულების მხრიდან შესაძლო მკვლელობა. ეს მტკიცებულებები არის მოწმეების ჩვენებები, მკვლელობის იარაღები. ეს არის უტყუარი მტკიცებულებები“, — განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

პროკურორი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე ჯერ ვერ საუბრობს

ამ ეტაპზე, ვერ გიპასუხებთ, იკვეთება თუ არა უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები- განაცხადა მთავარმა პროკურორმა მაჩალიკაშვილის საქმეზე გაკეთებული კომენტარის დროს. ირაკლი შოთაძის განცხადებით, მიმდინარეობს გამოძიება, რომლის შესახებაც მაჩალიკაშვილების ოჯახი ინფორმირებულია და საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ საზოგადოებისთვისაც ცნობილი გახდება დეტალები:

„გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმირებულია მაჩალიკაშვილების ოჯახი. საგამოძიებო მოქმედებებზე, მას შემდეგ რაც ამოიწურება, საქართველოს პროკურატურა დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის საზოგადოებას. ამ ეტაპზე ვერ გიპასუხებთ, იკვეთება თუ არა უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები. საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს მაქსიმალურად ეფექტიანად, სწრაფად და მას შემდეგ, რაც დასრულდება, მივაწვდით ყველას ინფორმაციას“, — განაცხადა შოთაძემ.

მირზა სუბელიანს დანაშაული არ ჩაუდენია

საქართველოს მთავარი პროკურორი აცხადებს, რომ მირზა სუბელიანის მიერ სისხლის სამართლის რაიმე დანაშაულის შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით, არც ერთი მტკიცებულება არ მოიპოვება. ირაკლი შოთაძის თქმით, ის ვიდეოჩანაწერი, რომელიც „რუსთავი 2“-მა გაავრცელა, გამოძიების პროცესში მოპოვებული და ამოღებულია თავად გამოძიების მიერ.

„ამ მიმართულებით შსს-მ სრულყოფილი გამოძიება ჩაატარა. ჩატარებული არის ყველა საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედება. დანაშაულის დაფარვის ფაქტზე სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია 5 პირის მიმართ, რაზეც ინფორმირებულია საზოგადოება და დაზარალებულები. არც ერთი მტკიცებულება ამ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება მირზა სუბელიანის მიერ სისხლის სამართლის რაიმე დანაშაულის შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით...ამ ვიდეოჩანაწერის საზოგადოებისთვის მიწოდება, რომ თითქოს ეს რამე ახალია და გამოძიება და პროკურატურა ამის შესახებ ინფორმირებულები არ იყვნენ, არის სიცრუე. ადვოკატებმა იციან ამ ვიდეომასალის შესახებ, ეს მასალები გაცვლილია, ყველა მხარეს, ვისაც უნდა ჰქონოდა ეს მტკიცებულება, აქვს“ — განაცხადა შოთაძემ.

ქართულ ენაში ლიტვის ავთენტური დასახელება - ლიეტუვა დამკვიდრდა

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამასთან დაკავშირებით რეკომენდაცია სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა ექსპერტთა კომისიის 11 მაისის გადაწყვეტილების შესაბამისად გასცა.

„აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს საპასუხო მეგობრულ ჟესტს მიმდინარე წლის 3 მაისს, ლიტვური ენის სახელმწიფო კომისიის მიერ, ლიტვურ ენაში საქართველოს ავთენტური დასახელების დამკვიდრებაზე, რაც გახლდათ ლიტვის მხარის მორიგი მეგობრული ნაბიჯი საქართველოსადმი.

როგორც ლიტვის, ასევე საქართველოს გადაწყვეტილებები უაღრესად სიმბოლურია, ვინაიდან წელს ლიტვამ სახელმწიფოებრიობის აღდგენის მე-100 წლისთავი იზეიმა, ხოლო საქართველო სწორედ მაისის თვეში აღნიშნავს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების მეასე წლისთავს“, — აღნიშნავენ უწყებაში.

ასე ამბობდა ჩერჩილი

„მე არასოდეს! არასოდეს! არასოდეს არ დავნებდები!“

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

სერ უინსტონ სპენსერ ჩერჩილი - სტალინის გარდაცვალების შემდეგ წერდა...

„რუსეთს დიდად გაუმართლა, რომ უდიდესი ძნელბედობის ჟამს ამ ქვეყანას გენიოსი და ქედუხრელი მხედართმთავარი სტალინი მეთაურობდა. იგი იყო ჭეშმარიტად გამორჩეული პიროვნება, რომელიც სრულიად ერგებოდა დროების იმ ცვალებად და სასტიკ პერიოდს, რომელშიც ცხოვრება მოუწია. სტალინი იყო ზებუნებრივი ენერგიისა და უდრეკი ნებისყოფის ადამიანი, მკვეთრი, მკაცრი და დაუნდობელი საუბარში, რომლის დროსაც მეც კი, ბრიტანეთის პარლამენტში აღზრდილი კაცი, ვერაფერს ვუპირისპირებდი. სტალინს, უპირველეს ყოვლისა, ჰქონდა უდიდესი იუმორის გრძნობა, სარკაზმი და იმის უნარი, რომ ზუსტად აღექვა და გადმოეცა აზრები. ეს ძალა იმდენად დიდი იყო სტალინში, რომ განუმეორებელი ჩანდა ყველა დანარჩენი ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის. სტალინმა ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ კაცს ღრმა, უშიშარი, ლოგიკური, გააზრებული სიბრძნე ჰქონდა. იგი ფლობდა არაჩვეულებრივ ოსტატობას, რომ გამოსავალი ეპოვა ყველაზე გამოუვალ მდგომარეობაში. ამასთანავე, სტალინი ყველაზე კრიტიკულ მომენტებსა და საზეიმო ვითარებაში ერთნაირად თავშეკავებული იყო და არასდროს არ აჰყოლია ილუზიებს. იგი ძალზე რთული პიროვნება გახლდათ. მან შექმნა და სრულიად დაიმორჩილა უდიდესი იმპერია. ეს იყო ადამიანი, რომელიც საკუთარ მტერს მეორე მტრის ხელით უსწორდებოდა. სტალინი იყო უდიდესი დიქტაქტორი, რომელსაც ტოლი არ ჰყავდა მსოფლიოში. მან კავით აღჭურვილი რუსეთი ჩაიბარა და ატომური ბომბით შეიარაღებული დატოვა (ბრიტანული ენციკლოპედია, სტატია „სტალინი“, ტ. XXI, გვ. 303).



* * *

რის თქმა შემიძლია ჰიტლერზე? ეს დიქტატორი საკუთარ ხაფანგში მოხვდა, საკუთარი პარტიული მანქანის მსხვერპლი გახდა — უკან დასახევი გზა მოეჭრა, მან სისხლს უნდა მიაჩვიოს თავისი ძაღლები, ნადავლი უნდა მიუგდოს, თორემ ეგრევე თავად შესანსლავენ, როგორც ოდესღაც აქტეონი შესანსლეს. იგი საზარლად ძლიერია გარეგნულად და საშინლად სუსტია შიგან.

* * *

პოლიტიკა თამაში არ არის, ეს სერიოზული, საგულო საქმეა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №102-109

* * *

რაგინდარა ტირანია, რა ფორმებიც არ უნდა მიიღოს, ითხოვს, რომ თავისუფალი ადამიანები, სიცოცხლის განწირვის ფასად, შეეცადონ იმის დამხობას.

* * *

პარლამენტს შეუძლია, რომ ხალხს მორჩილება აიძულოს, მაგრამ არა შეთანხმება.

* * *

როგორც მთავრობის მეთაური საზეიმოდ ვაცხადებ: არცრა მაქვს თქვენთვის შემოსათავაზებელი, გარდა სისხლისა, ოფლისა, კატორღული შრომისა და ცრემლებისა.

* * *

შეიძლება რომ გძულდეს, გეზიზღებოდეს ჰიტლერის სისტემა და მაინც მოიხიბლო ამ კაცის პატრიოტული მიღწევით. თუ ჩვენი ქვეყანა დამარცხდება, ვიმედოვნებ, რომ ჩვენშიც მოიძებნება ესოდენ აღტყინების ღირსი ბელადი, რომელიც კვლავ ჩაგვინერგავს ვაჟკაცობას და სხვა ერთა შორის დაგვიბრუნებს ჩვენს ადგილს.

* * *

ტროცკი. ამ კაცს ისეთი თვისებები ჰქონდა, რაც აუცილებელია სახელმწიფოს ნადგურსაყოფად. ის თავის თაშვი ერთმანეთს უთავსებდა კარნოს ორგანიზატორულ ნიჭს, მაკიაველის ცივ გონებას, კლეონის ოქროპირობას, ანუ ორტორულ ხელოვნებას, და ჯეკ მფატვრელის მხეცურ სისასტიკეს, ანუ ძველებურად თუ ვიტყვით, უჟადადუჟს.

* * *

არცვინ არ ამტკიცებს, რომ დემოკრატია მმართველობის იდეალური ფორმაა, უფრო პირიქით, მაგრამ არცრა უკეთესი, სამწუხაროდ, კაცობრიობას ჯერ არ მოუგონია.

* * *

ამჟამინდელ სამყაროს შეფიქრიანებული პოლიტიკოსები მართავენ, რომელთაგან თითოეული მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ ჩაიგდოს ხელში მორიგი თანამდებობა ანდა როგორ ჩაძიროს თავისი მსგავსი. სწორედ ამიტომ ვერ იცლიან ისინი საჭირბოროტო საქმეების მისახედად.

* * *

როცა საფრანგეთის მთავრობა გავაფრთხილე, რამე თუ მოხდება, ბრიტანეთი მარტო იომებს-მეთქი, იმათმა გენერლებმა თქვეს: „სამ კვირაში ისინი როგორც წიწილას, ისე მოგიგრეხენ კისერსო“. ვაი, კისრის ბრალი! ვაი, წიწილის ბრალი!

* * *

მომავლის იმპერიები გონების იმპერიები იქნებიან.

* * *

იმ ამბავში, რომ ამქვეყნად იესო და ჰიტლერი გაჩნდნენ, დამნაშავეა სწორედ დემოკრატია.

* * *

პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს იმის წინასწარმეტყველება, რა მოხდება ხვალ, ერთ კვირაში, ერთ თვეში და ერთ წელიწადში. მერე კი უნდა ახსნას, რატომ არ ახდა თავისი ნაწინასწარმეტყველები.

* * *

პოლიტიკამ ისევე იცის გატაცება, როგორც ომმა, მაგრამ პოლიტიკა ბევრად საშიშია. ომში შეიძლება ერთხელ თქვენი მოკვლა, პოლიტიკაში კი — არაერთხელ!

* * *

სახელმწიფო მოღვაწე პოლიტიკოსისგან იმით განსხვავდება, რომ პოლიტიკოსს გეზი არჩევნებისკენ აქვს აღებული, სახელმწიფო მოღვაწეს კი — შემდგომი თაობისკენ.

* * *

კაპიტალიზმის მთავარი ნაკლი კეთილდღეობის არათანაბარი განაწილებაა; სოციალიზმის მთავარ უპირატესობას კი ხელმოკლეობის თანაბარი განაწილება განსაზღვრავს.

* * *

საუკეთესო არგუმენტი დემოკრატიის წინააღმდეგ საშუალო სტატისტიკურ ამომრჩეველთან ხუთწუთიანი საუბარია.

* * *

ამდენი პოლიტიკური ინსტიტუტების არსებობის დროს ხანისად მაინც გვიხდება სხვისი აზრისთვის ანგარიშის გაწევა.

* * *

ეროვნული ერთიანობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ კიდევ ბევრად უფრო დიდი მიზნისთვის, ვიდრე თვითონ ერია.

* * *

ვერ ვიტყვი, რომ პრემიერ-მინისტრად მუშაობა უწყვეტი სიამოვნებაა.

* * *

მინისტრთა კაბინეტში გადაადგილებები იგივეა, რაც ასაწყობი სურათებისგან თავსატეხის გადაწყვეტა.

* * *

მართლაც დიდი რეფორმა განხორციელდებოდა პოლიტიკაში, უკეთუ სიბრძნე ისევე იოლად და სწრაფად გავრცელდებოდა, როგორც სისულელე ვრცელდება.

* * *

ვინც გნებავთ, იმას შეუძლია ერთი პარტიიდან სხვა პარტიაში გადასვლა, თუმცაღა ცოტა გამჭრიახობა არ ეყოფა უკან დასაბრუნებლად.

* * *

ერთნი პარტიას იცვლიან თავიანთი პრინციპების გულისთვის, მეორენი — პარტიის გულისთვის თმობენ პრინციპებს.

* * *

რუსი ბოლშევიკების ფილოსოფიაში წამლადაც ვერ ნახავთ ვერც ერთ სოციალურ და ვერც ეკონომიკურ პრინციპებს თუ ცნებას, ჯერ კიდევ მილიონი წლის წინათ რომ არ იყოს დამუშავებული, დანერგილი და განვითარებული ტერმიტების მიერ გარდაუვალი კანონების სახით.

* * *

პოლიტიკურ მოღვაწეზე იმ მტროების მიხედვით იმსჯელეთ, რასაც ის მოწინააღმდეგეებში აღრძავს.

* * *

არ არის კარგი, როცა ამომრჩეველთან მიდიხარ მხოლოდ თქვენი ოპონენტების შეცდომათა პლატფორმაზე მდგარი.

* * *

როცა ჩვენი მეფენი თავიანთი საქციელით ეწინააღმდეგებიან ჩვენს კონსტიტუციას, ჩვენ ვცვლით ჩვენს მეფეებს.

* * *

ხალხი აკონტროლებს მთავრობას და არა მთავრობა — ხალხს.

* * *

როცა სახელმწიფოთა თავკაცნი განგსტერდებიან, რაიმე წამალი უნდა ვიღონოთ.

* * *

დიქტატორობის ერთ-ერთ ნაკლი ის არის, რომ დიქტატორებს ხშირად დიქტანტზე აქვთ ყური გამახვილებული.

(გაგრძელება იქნება)

„მოკვდა ვაჟკაცური სიკვდილით...“

კეთილშობილი ქართველი თავადი კოტე აფხაზი

მოკლედ შევჩერდებით ზოგიერთი მათგანის განხორციელების საქმეში კ. აფხაზის წვლილზე: თავად-აზნაურთა წინამძღოლად მისი არჩევისას, უპირველეს საქმედ მიჩნეული იყო კახეთის რკინიგზის მშენებლობის გასრულების საკითხი, რომლის ძირითადი დამფინანსებელი თავად-აზნაურთა ბანკი იყო; მაგრამ იმხანად მშენებლობაზე, როგორც კერძო ობიექტზე, მძიმე ვითარება იყო შექმნილი. ბრძოლა მიმდინარეობდა სარკინიგზო ხაზის სიღნაღ-ბაქოს მიმართულებით გასაგრძელებლად... მაგრამ ასეთი პერსპექტივა „კახეთის რკინიგზის საზოგადოებას“ დამოუკიდებელ არსებობას უსპობდა და ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას უძვირფასეს საკუთრებას აკარგვინებდა. არადა 1.200.000 მანეთის ღირებულების მშენებლობისათვის, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას მხოლოდ 400.000 მანეთის აქციები ჰქონდა შეძენილი... საშიშროება აშკარა იყო. ამიტომ, როგორც გაზეთი „ზაკავკაზსკაია რეჩ“ წერდა: „ახლადარჩეულ წინამძღოლს, თუ სურდა, თავისი მოღვაწეობის თვალსაჩინო მიღწევებით აღნიშვნა ამ კუთხის ისტორიაში, მთელი თავისი ძალისხმევა ამ საქმის მოსაგვარებლად უნდა მიემართა“.

კ. აფხაზის ხელმძღვანელობით გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მოხერხდა ფინანსის სწორზე წარმატებით გასვლა. მაგრამ მსოფლიო ომის მიმდინარეობის გამო ახალი სიძნელეები წარმოიშვა. 1915 წლის შემოდგომისთვის მშენებლობა ძირითადად დამთავრებულ იქნა და რკინიგზა ექსპლოატაციაში შევიდა. მშენებლობის საერთო ღირებულებამ დიდი თანხა 17.801.847 მანეთი და 38 კაპიკი შეადგინა. ეს გზა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო არა მარტო ამ კუთხის მცხოვრებთათვის, არამედ, რეზო გაბაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, მთლიანად „ჩვენისთანა პატარა ერისათვის“. მთავარი, პერსპექტივა იყო... არც ისე დიდი ხნის შემდეგ, კ. აფხაზმა თითქმის 18 მილიონ მანეთად ღირებული კახეთის რკინიგზა თავად-აზნაურობის სხვა უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად, 1 ეროვნულ ყრილობაზე ქართველ ხალხს ნობათად მიართვა, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის ეკონომიკურ საფუძვლად იქცა.

იმავე 1915 წლის შუა რიცხვებში დიდი აკაკი გარდაიცვალა. მისივე ანდერძის თანახმად დასაფლავება ალბათ მშობლიურ სხვიტორში მოხდებოდა, თბილისში, თავად-აზნაურთა საკრებულოში გამართულ ხალხმრავალ შეკრებაზე, კ. აფხაზის წინადადებით დადგენილება რომ არ მიეღოთ აკაკის ნეშტის დედაქალაქში გადმოსვენების და მთაწმინდაზე ილიას გვერდით დაკრძალვის შესახებ.

კ. აფხაზმა თავისი პირადი პატივისცემა დიდი პოეტისადმი მთაწმინდაზე, მის საფლავთან წარმოთქმულ სიტყვაში გამოხატა: „გენიოსის სწორო მგოსანო! ვის ძალუძს შეამკოს საკვირველნი საქმენნი შენნი! ცით გაცისკროვნებული შენი გონება თითქმის სამოცი წელი ამსახურე საქართველოს, შენს საყვარელ ერს. განგებამ რომ დროგამოშვებით შენგვარი სულნი არ მოუვლინოს ჩვენს სამშობლოს, ხომ ამოიხვეწა წმინდა სახელი საქართველოსი და გაქრა სამუდამოდ შენი ერის ტკბილი ენა!“

მისივე განკარგულებით სათანადო პატივისცემა და ყურადღება არ მოკლებიათ საზღვარგარეთიდან ჩამოსულ აკაკის ცოლშვილსაც.

1916 წლის ოქტომბერში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი კ. აფხაზი რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. მართალია მას რომანოვთა სამეფო ტახტის დამხობის გამო სულ ექვსიოდე თვე მოუწია ყოფნა და პეტერბურგში ცხოვრება, მაგრამ ზოგი რამ სამშობლოს სასიკეთო საქმის გაკეთება მაინც მოასწრო... 1917 წლის 28 თებერვალს, უმეფოდ დარჩენილ ქვეყანაში მართვა-გამგეობა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს მიერ შექმნილი დროებითი კომიტეტის ხელში გადავიდა, რომლის შემადგენლობაში ქართველი დეპუტატი კარლო ჩხეიძეც იქნა შეყვანილი. კ. აფხაზმა კარგად განჭვრიტა პერსპექტივა და თბილისში თავად-აზნაურთა საკრებულოს საგანგებო კრების მოწვევა დაავალა, რომელსაც წერილი უნდა მოემზადებინა დროებითი კომიტეტის თავმჯდომარის მ. როძიანკოს, ამავე კომიტეტის წევრის კ. ჩხეიძის და სახელმწიფო საბჭოს წევრის კ. აფხაზის სახელზე, რომელშიც დასაბუთებული იქნებოდა ქართველი ხალხის პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა თავისი ნაციონალური უფლებების განსახორციელებლად. 1917 წლის 5 მარტს ამგვარი დოკუმენტი უკვე მზად იყო და დანიშნულების შესაბამისად გადაეცათ ადრესატებს...

მარცხნიდან: გენერალი დავით აფხაზი, პოლკოვნიკი გიორგი აფხაზი, გენერალი კოტე აფხაზი

წერილში აღნიშნული იყო, რომ „ქართველი თავად-აზნაურების კულტურული მოღვაწეობა და ნივთიერი ღონისძიებანი ყოველთვის მიმართული იყო ქართველი ხალხის კეთილდღეობისაკენ . . . რუსეთის იმპერიაში, უკვე დამხობილი სახელმწიფო წყობილებისაგან ისე არავინ დატანჯულა, როგორც ქართველი ხალხი, რომელიც ასზე მეტი წლის განმავლობაში ყველაზე მწვავედ განიცდიდა იმპერიალისტური ძალმომრეობის მთელ სიმძიმეს; იგი ბორკავდა და ანადგურებდა ყოველივე იმას, რაც ერის თვითარსებობის ნიშანს შეადგენდა, ყოველი კულტურული ღირებულება ხალხის სულისა წაშლილი და მტვრადქცეული იყო. ეკლესია, სკოლა, მთავრობის დაწესებულებანი წარმოადგენდნენ ქართველი ხალხის პიროვნული ღირსების ძალმომრეობით გაქელვისა და მისი გაბითურების კერებს... ვერც 1783 წლის ტრაქტატის ვალდებულებებმა, ვერც ქართველი ხალხის ლოიალობამ, ვერც სისხლის ნაკადულებმა, რომლებიც ქართველ ხალხს უამრავ ომში დაუღვრია და, რომელსაც ახლაც ღვრის რუსეთის იარაღის გასამარჯვებლად, რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელთა შორის ვერ გამოიწვია სამართლიანი დამოკიდებულება ქართველი ხალხის მიმართ... ყოველივე ამას რუსეთის ახალი ხელისუფლება აწი მაინც გაითვალისწინებს და ხელს შეუწყობს ქართველ ხალხს პოლიტიკური ავტონომიის საფუძველზე თავისი ნაციონალური უფლებების განხორციელებაში...“

ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელიც სახელმწიფო საბჭოს წევრმა კ. აფხაზმა გადადგა, პეტერბურგში იმჟამად მყოფ თანამემამულეებთან ერთად, მიტროპოლიტ პიტირიმის მონახულება და მისადმი მადლიერების გამოხატვა იყო. ეს რუსი სასულიერო მოღვაწე, ცნობილი ქართველთმოყვარე რუსის ნიკოლოზ დურნოვის მოწაფედ ითვლებოდა და საქართველოს ეგზარქოსად არცთუ დიდი ხნით ყოფნისას, ქართველთა სამწყსოს დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ბუნებრივია, მას ახლო ურთიერთობა აკავშირებდა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალთ-დ კ. აფხაზთანაც. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება მათი ერთად ჩასვლა აჭარაში, რომლის მკვიდრთ იმ ხანებში „მოღალატეების“ იარლიყი მიაწებეს და განუკითხავად ერეკებოდნენ ციმბირსა და იმპერიის სხვა რეგიონების ციხე-კატორღებში... ამ ორი პიროვნების მიერ უმაღლეს დონეზე სათანადო ცნობების მიწოდებამ, რამდენადმე განაპირობა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მეფისნაცვლის სავარძლიდან ჩამოცილება და დიდი მთავრის ნიკოლოზ რომანოვის ამ თანამდებობაზე დანიშვნა. ამასთან, მიტროპოლიტმა პიტირიმმა გამორჩეული პატივი მიაგო დიდი აკაკის ხსოვნას. მაღალმა სასულიერო პირმა განსვენებულ მგოსანს პანაშვიდი ქართულ ენაზე გადაუხადა და მშვენიერი სიტყვაც უთხრა. მალე მიტროპოლიტი პიტირიმი ივერიის ეკლესიის სამწყსოს ჩამოაშორეს და პეტერბურგში გადაიყვანეს.

ამ შეხვედრის შესახებ ერთ-ერთ იმდროინდელ წყაროში ნათქვამია:

„თ-მა აფხაზმა მიტროპოლიტს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩვენ, მადლიერნი შვილნი საქართველოსი, უმორჩილესად გთხოვთ, მიიღოთ ივერიის ეკლესიის ძეთა ეს სადა და უბრალო საჩუქარი ნიშნად თქვენის სახელოვანის სამსახურისა ჩვენს შორის“ და ვაზის ლერწმისგან დამზადებული ჯვარი მიართვა.

გელა საითიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

(დასასრული იქნება)

დასასრული. დასაწყისი იხ. №109

ჩინეთის პრეზიდენტი ქართველ ხალხს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის სი ძინპინის მილოცვა მიიღო: „ჩინეთის მთავრობის, ჩინელი ხალხის და ჩემი სახელით მინდა გულწრფელად მოგილოცოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და გადმოგცეთ საუკეთესო სურვილები თქვენ და მეგობარ ქართველ ხალხს.

საქართველო ჩინეთის ტრადიციული მეგობარი და პარტნიორია. ბოლო წლების განმავლობაში საქართველო სოციალური სტაბილურობის ერთგულია და განაგრძობს ეკონომიკურ წინსვლას;

ხალხი მშვიდობიან გარემოში ცხოვრობს და მუშაობს, ქვეყანა კი ეროვნული მშენებლობის ახალ განვითარების საფეხურებს აღწევს. როგორც გულითად მეგობარს, მე ეს გულწრფელად მახარებს.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ ჩინეთისა და საქართველოს ურთიერთობების განვითარებას და მსურს თქვენთან ერთად ვიმუშაო, რათა განვაგრძოთ სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის მიღწევების ხელშეწყობა ჩვენი ქვეყნების და ხალხების საკეთილდღეოდ.

ვუსურვებ საქართველოს კეთილდღეობას, ხოლო ქართველ ხალხს — ბედნიერებას. გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას“, — აღნიშნულია ჩინეთის პრეზიდენტის წერილში.

პოლონეთში ქართველი ოფიცრის სახელობის სკვერი გაიხსნა

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ციკლის ფარგლებში, ქ კრაკოვში გაიხსნა ქართველი იუნკერის და პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცრის გიორგი ტურაშვილის სახელობის სკვერი.

გახსნით ცერემონიალზე სიტყვით გამოვიდნენ პოლონეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ილია დარჩიაშვილი, კრაკოვის მერი იაცეკ მაიხროვსკი, ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელი იაროსლავ შარეკი, დეპუტატი კორნელ მორავიეცკი და გიორგი ტურაშვილის შვილი.

სიტყვით გამოსვლისას ილია დარჩიაშვილმა ისაუბრა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაზე და ყურადღება გაამახვილა პოლონეთის არმიაში მოღვაწე ქართველი ოფიცრების როლის მნიშვნელობაზე.

ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს ელჩმა ქართველი ოფიცრის საფლავი მოინახულა.

100 წლის იუბილეს ფარგლებში, ქ. კრაკოვში, ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტში ასევე მოეწყო გამოფენა, სახელწოდებით „პოლონეთის არმიის ქართველი საკონტრაქტო ოფიცრები“.

◎ ᲟᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲔᲠᲔᲤᲜᲘᲗ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ფედერაციამ ხელი უკვე მოაწერა კონტრაქტს შვეიცარიულ კომპანიასთან (SGS), რომელმაც უნდა გააკონტროლოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გავლით გადაადგილებული ტვირთები. ამავე კომპანიასთან საქართველომ კონტრაქტი 2017 წლის დეკემბერში გააფორმა. ეს კონტრაქტები ეყრდნობა საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის 2011 წელს გაფორმებულ შეთანხმებას „საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“, რომელსაც მოსკოვი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ შეთანხმებად განიხილავს, თუმცა მეტი საპირისპირო არგუმენტი აქვს ქართულ მხარეს, რომელიც თვლის, რომ, პირიქით, 2011 წლის შეთანხმების გაფორმებით რუსეთმა არაპირდაპირ აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

2011 წლის შეთანხმების მიხედვით, შვეიცარიული კომპანიის წარმომადგენლები ჩადგებიან მხოლოდ რუსეთისა და საქართველოს ტერიტორიებზე, შესაბამისად, რუს და ქართველ მებაჟეებთან ერთად. ისინი ფიზიკურად შეამოწმებენ ტვირთს, ხოლო უშუალოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ტვირთის გადაადგილების გაკონტროლება შესაძლებელია GPRS-ის სისტემით, ტვირთებზე დაკრული შესაბამისი სტიკერების დახმარებით.

მას შემდეგ, რაც შვეიცარიულ კომპანიასთან კონტრაქტი გაფორმდა (18 მაისს), რუსეთის ფედერაციასთან კომუნიკაცია აღარ ჰქონია პრემიერის სპეციალურ წარმომადგენელს ზურაბ აბაშიძეს, რომელიც პრაღაში ხვდება ხოლმე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორი კარასინს. რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ზურაბ აბაშიძემ თქვა, რომ „კონკრეტულ დეტალებს გაარკვევს პრაღაში დაგეგმილი მორიგი შეხვედრის დროს“. ეს შეხვედრა გუშინ შედგა.

„შემდეგი ნაბიჯი, ალბათ, ასეთი უნდა იყოს, რომ, 2011 წლის შეთანხმების შესაბამისად, უნდა შეიქმნას ქართულ-რუსულ-შვეიცარიული ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც დროდადრო შეიკრიბება შვეიცარიაში და გაუწევს მონიტორინგს ამ პროექტის რეალიზაციას“, — უთხრა რადიო „თავისუფლებას“ ზურაბ აბაშიძემ, თუმცა მან თავი შეიკავა 2011 წლის სავაჭრო შეთანხმებასთან დაკავშირებით რუსეთის პოზიციის შეფასებისგან.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ 2011 წლის სავაჭრო შეთანხმება საქართველოს მიერ ტერიტორიული მთლიანობის დათმობის ტოლფასია, ძირითადად სწორედ გიორგი კარასინი ამბობს, რომ შეთანხმება საქართველოს საბაჟო საზღვარს აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების გარეშე განიხილავს.

თუმცა ქართული მხარისთვის 2011 წლის შეთანხმება აბსოლუტურად საპირისპიროზე მეტყველებს. მრავალჯერ ითქვა, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) რუსეთის გაწევრების წინაპირობად განხილულ შეთანხმებაში არაერთი ისეთი პრინციპული საკითხი დევს, რაც გამორიცხავს შეკითხვებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. მათ შორის არის ე.წ. სამი დერეფნის პრინციპი.

2011 წლის ხელშეკრულების მომზადების პროცესში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული იმხანად საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიაში ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც ამჟამად პარლამენტში „ევროპულ საქართველოს“ წარმოადგენს.

მისი აზრით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის კიდევ ერთ არაპირდაპირ აღიარებად შეიძლება ჩაითვალოს 2011 წლის შეთანხმებით გათვალისწინებული ერთი პრინციპი, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ელექტრონულ ბაზაში გადაცემული მონაცემები უნდა დაჯამდეს როგორც ვაჭრობის შედეგები საქართველოსა და რუსეთს შორის. შესაბამისად, ვაჭრობა, რომელიც რუსეთს აქვს მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებთან — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან, საერთო ბაზაში აისახება, როგორც ვაჭრობა რუსეთსა და საქართველოს შორის.

2011 წლის შეთანხმებაში არ არის ნახსენები აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, თუმცა, ჩამოთვლილი კოორდინატების მიხედვით, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა შეადგინა რუკა, სადაც კარგად ჩანს სამი დერეფნის მთელი ტრაექტორია. ერთი იწყება რუსეთის კრასნოდარის მხარეში და მთავრდება ზუგდიდთან, მეორე - რუსეთის ჩრდილოეთ ოსეთში და მთავრდება გორთან, ხოლო მესამე დერეფანი მოიცავს ზემო ლარსი-ყაზბეგის ტერიტორიას, რომელზეც გადის ამჟამად რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ერთადერთი არასადავო საზღვარი.

2011 წლის შეთანხმების მიხედვით, შვეიცარიული კომპანიის წარმომადგენლები ჩადგებიან მხოლოდ რუსეთისა და საქართველოს ტერიტორიებზე, შესაბამისად, რუს და ქართველ მებაჟეებთან ერთად. ისინი ფიზიკურად შეამოწმებენ ტვირთს, ხოლო უშუალოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ტვირთის გადაადგილების გაკონტროლება შესაძლებელია GPRS-ის სისტემით, ტვირთებზე დაკრული შესაბამისი სტიკერების დახმარებით. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთიან ბაზაში მონაცემების შეყვანას უშუალოდ რუსი და ქართველი მებაჟეები აწარმოებენ, თუმცა მთელ პროცესს მონიტორინგს გაუწევს შვეიცარიული კომპანია (SGS), რომელთანაც უკვე გააფორმეს კონტრაქტები საქართველომ და რუსეთმა.

შეკითხვაზე, რატომ გაჯანჯლდა კონტრაქტების გაფორმება შვეიცარიულ კომპანიასთან და რატომ მოვიდა 2011 წელს დაწყებული პროცესი 2017-2018 წლამდე, ზურაბ აბაშიძე გვიპასუხებს, რომ ქართული მხარე უფრო ადრეც იყო მზად, მაგრამ რუსეთს „პროცესი გაურთულდა“, თუმცა, ზურაბ ჭიაბერაშვილის აზრით, მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველო რუსეთის გაღიზიანებას ერიდებოდა და ცდილობდა, პროცესი აბაშიძე-კარასინის ფორმატში დაერეგულირებინა, რაც მცდარი პოზიციაა და რის შედეგადაც „ძალიან ძვირფასი წლები დაიკარგა“.

ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲜᲭᲣᲚᲘᲐ

ᲑᲝᲘᲜᲒᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ 53-Ე ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ „ᲑᲣᲙᲘᲗ“ ᲩᲐᲛᲝᲐᲒᲓᲔᲡ

მალაიზიური ავიაკომპანიის „ბოინგი 777“ 2014 წლის 17 ივლისს უკრაინის თავზე რუსეთის 53-ე საზენიტო-საარაკეტო ბრიგადის კუთვნილი „ბუკით“ იქნა ჩამოგდებული. ამის შესახებ ნიდერლანდების პროკურატურის წარმომადგენელმა პრესკონფერენციაზე განაცხადა. მალაიზიური სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფის ერთობლივმა საგამოძიებო ჯგუფმა (JIT) პრესკონფერენცია გამართა, მასში 5 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, 6 „ბუკისგან“ შემდგარმა კოლონამ კურსკში დისლოცირებული 53-ე ბრიგადის ბაზა დატოვეს. ერთი სარაკეტო სისტემა ნომრით 332 უკრაინაში გადაიტანეს, რუსეთის მიერ კონტროლირებად რაიონში. 18 ივლისს მოწყობილობა უკან რუსეთში დაბრუნდა. ნიდერლანდების პროკურატურა აცხადებს, რომ მათ აქვთ ეჭვმიტანილთა სია, რომელშიც 100 ადამიანი შედის და მოუწოდებს თვითმხილველებს, ითანამშრომლონ გამოძიებასთან, რათა დადგინდეს, ვინ გასცა „ბუკის“ უკრაინაში გადატანის ბრძანება და ვინ ესროლა ბოინგს. გამოძიების დასრულების შემდეგ სასამართლო ნიდერლანდებში გაიმართება.

ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ

უახლოეს თვეებში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების ახალი შესაძლებლობები გაჩნდება, ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა აზერბაიჯანის პრეზიდენტისთვის მიწერილ მისალოცწერილში განაცხადა. „აშშ, როგორც ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე, მზად არის, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი და მყარი მოგვარებისთვის თქვენთან ითანამშრომლოს, შემდეგ თვეებში კონფლიქტის დარეგულირების შესაძლებლობების გზების გამონახავაზე ვიმუშავებთ, რაც უფრო გააუმჯობესებს ორი ქვეყნის ურთიერთობებს,“ — ნათქვამია ტექსტში. დონალდ ტრამპმა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ქვეყნის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე მიულოცა.

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ „BREXIT„-ᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, სავარაუდოდ, უნდა მოეთხოვა, ევროკავშირისთვის გაეგრძელებინათ ვადა ორი წლით, რათა გადაეჭრათ სავაჭრო შეთანხმებები საბაჟოზე და არ დაეშვათ სრულყოფილი საზღვრის დაშვება დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის.

ბრიტანეთის მთავრობამ უარყო ეს ინფორმაცია და აღნიშნა, რომ 2020 წლის დეკემბერში ბრიტანეთი სრულად გავა ევროკავშირიდან.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲛ ᲙᲝᲑᲖᲝᲜᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲐ

ამის შესახებ ნათქვამია უკრაინის პრეზიდენტის განკარგულებაში. იოსებ კობზონთან მიმართებაში ამოქმედდა შემდეგი სანქციები: დაიბლოკა აქტივები-უკრაინაში დროებით შეიზღუდა მის მიერ ქონების განკარგვა და მოხმარება, რაც შესაძლებლობას არ მისცემს კობზონს უკრაინის ფარგლებს გარეთ კაპიტალი გაიტანოს, უკრაინის ტერიტორიაზე შესვლის შეზღუდვა და მინიჭებული სახელმწიფო ჯილდოების გაუქმება.

ᲞᲝᲠᲝᲨᲔᲜᲙᲝᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ

უკრაინის სამხედრო საზღვაო ძალებში ახალი ჯარი გამოჩნდება — საზღვაო ქვეითები. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა ნიკოლაევში ვიზიტის ფარგლებში. მისი თქმით, დღეს, 23 მაისს, პროექტს ექნება „მწვანე შუქი“. ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა დეტალებზე მას კომენტარი არ გაუკეთებია.

ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲒᲝᲜᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ჩრდილოეთ კორეაში ბირთვული პოლიგონის დემონტაჟი დასრულდა. ჩრდილოეთ კორეამ თავისი ბირთველი პოლიგონის დემონსტრაცია მოახდინა და განაცხადა, რომ პოლიგონ „ფხუნგერიზე“ ბირთვული გამოცდების აღდგენა შეუძლებელია.

ცნობისთვის, ჩრდილოთ კორეამ მიიღო გადაწყვეტილება, დაეხურა ბირთვული პოლიგონი „ფხუნგერი“. მოხდა პოლიგონის შესასვლელის და მიმდებარე ობიექტების სრული განადგურება და აფეთქდა პოლიგონის საცდელი მაღარო. შემდეგ მოხდება მიწისქვეშა ნარჩენების გატანა.

ტყვია შენელებული ნაღმია!

„ტყვიის შემცველობის მიმართულებით ქვეყანაში საგანგაშო მდგომარეობაა“

„ტყვია ჩვენი ჯანმრთელობისთვის შენელებული ნაღმია,“ — ამის შესახებ „კომერსანტს“ „მომავლის ფერმერის“ თავმჯდომარემ რუსუდან გიგაშვილმა განუცხადა.

გიგაშვილს მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ დღეს სახელმწიფო ბევრი გამოწვევის წინაშე დგას, მეტი მოქმედებაა საჭირო, რათა მოსახლეობას ამ მიმართულებით სხვადასხვა სახის საფრთხეები არ შეექმნას.

„სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სახის რეგულაციები უნდა დაწესდეს, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება კი ავტომობილების ტექდათვალიერებას მიექცეს, ასევე ინდუსტრიულ საწარმოებს, რომელიც სხვადასხვა მავნე ნივთიერებას გამოყოფს,“ — აღნიშნა გიგაშვილმა.

„მომავლის ფერმერის“ თავმჯდომარის განცხადებით, საბაჟოზე კონტროლი აუცილებელია, რადგან ყურადღება მიექცეს იმას, თუ რა შემოდის ქვეყანაში და რას აქვს ამკრძალავი ნიშანი.

როგორც რუსუდან გიგაშვილი აცხადებს, საკვებ პროდუქტში ტყვია სხვადასხვანაირი ფორმით ხვდება. მაგალითად ისეთ საკვებში, რომელიც გამოფენილია გზებზე და მასში გამონაბოლქვი აღწევს ან ფერმასთან ახლოსაა გამონაბოლქვის დონე მაღალი.

„მომავლის ფერმერის“ თავმჯდომარის თქმით, საკვების გარდა ტყვია შესაძლოა, ჭურჭელში და სათამაშოებშიც იყოს. ხოლო ეს პროდუქცია საზღვარზე კონტროლს არ გადის. რუსუდან გიგაშვილის განცხადებით, თურქეთი სწორედ ასეთი ქვეყნის რიცხვს მიეკუთვნება. მისივე თქმით, რაც უფრო ფერადია ჭურჭელი, მასში ტყვიის შემცველობაც მაღალია. ტყვია საშენ მასალებსა და საოჯახო ნივთებშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ, მათ შორის პლასტმასის ნივთებშიც.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში მრავალი ქვეყნის მთავრობამ საკვებთან ერთად შეშფოთება გამოთქვა სათამაშოებსა და სამკაულებში აღმოჩენილი დიდი რაოდენობით ტყვიის გამო.

ერთ-ერთი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის კვლევის თანახმად, ტყვია აფერხებს ტვინისთვის ცილის მიწოდებას, რაც აუცილებელია მისი სათანადო განვითარებისა და ფუნქციონირებისთვის (Johns Hopkins Bloomberg School of Public Health). კვლევებმა ისიც გამოავლინა, რომ ბავშვის ორგანიზმი პირის ღრუდან მოხვედრილი ტყვიის 50%-ს ითვისებს, მოზრდილთა შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 10-15%-ია.

ლიკა გურაბანიძე

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 18 მაისის №1-1/248 ბრძანების შესაბამისად

2014 წლის 4 ნოემბერს საქართველოს მთავრობასა და კომპანია „Pomagalski” შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ქ. ჭიათურაში მიმდინარეობს 4 რევერსული გონდოლებიანი საბაგირო გზის მშენებლობა.

ჭიათურის საბაგირო ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც 10 000-ზე მეტი პირი სარგებლობს. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჭიათურის საბაგირო გზის 4 მონაკვეთს უნდა ჩაუტარდეს ჯამური სიგრძე 2,5 კილომეტრია. რეაბილიტირებული საბაგირო გზები ქალაქის ცენტრის გარეუბნებთან დააკავშირებს. მომზადდა განსახლების სამოქმედო გეგმა. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ უძრავი ქონების მესაკუთრეების ნაწილთან ქონების ნებაყოფლობითი გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება იქნა მიღწეული. მოლაპარაკების წარმოების მიუხედავად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული პროექტის ზემოქმედების არეალში არსებულ ქ. ჭიათურაში, დავით აღმაშენებლის ქუჩა #93 მდებარე გიგა გოგაძის და ციური ქოქოშვილის თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ს/კ 38.10.44.029 და მათთან მედიაციის ყველა რესურსი ამოწურულია.

2018 წლის 18 მაისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/248 ბრძანება, რომლის შესაბამისადაც ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე) გიგა გოგაძის თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ჭიათურის საბაგიროს მშენებლობა წარმოადგენს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას, სახელმწიფოს აღნიშნულ პროექტის ფარგლებში ესაჭიროება გიგა გოგაძის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - (მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები 142 კვ.მ(ს/კ 38.10.44.029); მის: ქ. ჭიათურაში, დ. აღმაშენებლის ქუჩა №93.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

200-ლარიანი ჯარიმა ურეგისტრაციო ტაქსის მძღოლებზე

1 ნოემბრიდან უკვე რეგისტრაციის გავლის გარეშე ტაქსით მომსახურება ჩაითვლება უნებართვო საქმიანობად და 200-ლარიან ჯარიმას გამოიწვევს, — ამის შესახებ თბილისის მერის მოადგილე მაია ბითაძემ განაცხადა.

მისი თქმით, თბილისში ტაქსების რეგისტრაცია-ნებართვიანობის პროცესი აგვისტოდან ნოემბრამდე პერიოდში გაიმართება.

„ტაქსებთან დაკავშირებით პარლამენტმა სამი მოსმენით მიიღო კანონპროექტი. რამდენიმე დღეში ჩვენ დავიწყებთ აქტიურ მუშაობას საკრებულოს მიერ გამოსაცემ ორ აქტზე. პარლამენტმა კანონი მიიღო იმისთვის, რომ შეექმნა საფუძველი მუნიციპალიტეტისთვის, რათა დაერეგულირებინა ე.წ. N/1 მსუბუქი ავტომობილებით მგზავრთა გადაყვანის საკითხი. ამასთან, ჩვენ აქტიურად ვიმუშავეთ ფინანსთა სამინისტროსთან. იყო მოარული ხმები, რომ ტაქსების ნებართვიანობა მოიაზრებს იმას, რომ გადასახადებით დაიბეგრებიან ტაქსის მძღოლები და ეს არის სრული სიცრუე. არანაირი ახალი გადასახადი არ იქნება. ყველა ის შეღავათიანი სარეჟიმო სისტემა, რაც მიკრობიზნესისთვის არის დღეს, არის მოქმედი, შენარჩუნდება ტაქსტის მძღოლებისთვის, უბრალოდ, საკრებულოს აქტის მიღების შემდგომ აგვისტოდან ნოემბრის თვემდე დაიწყება რეგისტრაცია-განებართვიანება და უკვე დაახლოებით 1 ნოემბრიდან ყველა ის ადამიანი, რომელიც ტაქსის სერვისს ახორციელებს და არა აქვს გავლილი რეგისტრაცია, იქნება უნებართვო საქმიანობად ჩათვლილი და დაექვემდებარება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ 200-ლარიან სანქციას. მინდა, კიდევ შევახსენო საზოგადოებას, რომ პირველ ეტაპზე ტაქსით სარგებლობის ლიცენზიისთვის საჭიროა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ერთჯერადი მოსაკრებლის შეტანა დაახლოებით 50 ლარის ოდენობით. ეს არის ერთჯერადი გადასახადი, ფაქტობრივად, ფურცლის ფულია. ჰიბრიდული ავტომობილებისთვის გადასახადი იქნება 50% სრული გადასახადის, ხოლო ელექტრომობილებისთვის უფასო, ჩვენ ამით ვახალისებთ ამ მიმართულებას და სხვა სანებართვო პირობა არ იქნება“, — განაცხადა მაია ბითაძემ.

რუსული „ნივა“ ჩვენთან მოვა!..

თითქმის დავიწყებული, საბჭოთა მანქანასთან ასოცირებული ნივა, მალე ნებისმიერ ადგილზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს სახლში მიაკითხავს და ანაბარს ჩააბარებს. ახალი ნივა ჩვენი ქვეყნის რეალობაში ახალ ფუნქციას იძენს. იგი საქართველოს ფოსტის სახე ხდება.

საქართველოს ფოსტა **15 ნივის შეძენას აპირებს. ფოსტა ერთ ავტომობილში დაახლოებით 25 000 ლარს გადაიხდის.**

როგორც „სტუდია მონიტორის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ამ ტენდერების პრობლემა კონკრეტულ მოდელ ნივაზე მორგებაა. კერძოდ, გამოცხადებული ფასის და სატენდერო პირობების მიხედვით, ტენდერში მონაწილეობის მიღება მხოლოდ რუსულ ნივას შეეძლო. არადა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა ამბობს, რომ კონკურენტული სპეციფიკაციები არ უნდა იყოს მორგებული ერთი რომელიმე ბრენდის ან მოდელის პროდუქტზე.

სწორედ ამგვარი პრინციპით შედგენილი ტენდერის დამსახურებაა ის, რომ 2016 წლის სექტემბრიდან დღემდე სახელმწიფო უწყებებმა ჯამში 2 მილიონი ლარის რუსული ნივა შეიძინა და მისი კონკურენტი ვერ აღმოჩნდა ვერც ევროპული, ვერც ამერიკული და ვერც სხვა იმ ქვეყნების ავტომობილები, რომლებსაც ავტობაზარზე შესაძლებლობებიდან გამომდინარე გაცილებით მაღალი რეიტინგი აქვთ.

ეს თემა „კომერსანტთან“ საქართველოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ ასე განმარტა: ელექტრონული ტენდერი საჯაროა, ის რამდენიმე დღის წინათ დასრულდა და კონკრეტულად ნივის მარკის ავტომობილმა გაიმარჯვა. ჩიკვაიძის თქმითვე, ეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისია. ტენდერში კი ის კომპანია იმარჯვებს, ვისაც ყველაზე დაბალი ფასი აქვს შემოთავაზებული — **კონკრეტულად ნივა კი მისი გამავლობიდან და ფასიდან გამომდინარე შეირჩა.**

ლევან ჩიკვაიძის განცხადებით, ახალი ნივები სპეციალურად საქართველოს ფოსტისთვის მომსახურებას დაახლოებით ერთ თვეში დაიწყებენ. აღნიშნული მარკის მანქანა თბილისში არ იმოძრავებს და ის მაღალმთიან რეგიონებს მოემსახურება.

„პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ნივას სხვა მარკის ავტომობილი მირჩევნია, თუმცა ჩვენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის მიხედვით ვმოქმედებთ და ვინც ავტომობილი ყველაზე დაბალ ფასად შემოგვთავაზა, სწორედ მისგან შევიძინეთ. საქართველოს ფოსტას გაუვალ ადგილებში უწევს მოძრაობა და ამიტომ ნივა სავსებით მისაღებია,“ — განაცხადა ლევან ჩიკვაიძემ.

ფოსტის დირექტორის თქმითვე, სამომავლოდ დედაქალაქისთვის ავტომობილების შეძენა კვლავ მოხდება თუმცა, შემდგომ ტენდერში ვინ გაიმარჯვებს, ეს ამ ეტაპზე უცნობია.

ლიკა გურაბანიძე

◎ წინ, საქართველოვ!

პრის ისტორიული გამარჯვება!

სეკივაკე ტოჩინოშინმა მაისის ბაშოზე უმთავრესი გამარჯვება მოიპოვა. გუშინ გამართული მე-12 ტურის ცენტრალურ შეხვედრაში ლევან გორგაძემ უახლოესი მდევარი და უმთავრესი კონკურენტი, სუმოს მონღოლი სუპერვარსკვლავი, იოკოძუნა ჰაკუჰო გაიყვანა დოჰიოს მიღმა. ამ გამარჯვებით ტოჩინოშინმა მრისხანე მოწინააღმდეგესთან 25-ბრძოლიანი მოუგებელი სერია დაასრულა და, რაც მთავარია, იმპერატორის თასისკენ ასპროცენტიანი შედეგით სვლა განაგრძო. გარდა ამისა, ოძეკის ტიტულიც ულაპარაკოდ გაინაღდა.

ფინიშამდე სამი ტურით ადრე ქართველი სეკიტორი უახლოეს მდევარს — იოკოძუნა კაკურიუს ერთი ქულით უსწრებს, ჰაკუჰომ კი მიმდინარე სუპერტურნირზე უკვე ორი ქულა დაკარგა.

დღეს ტოჩინოშინის მეტოქე მეოთხე მაეგაშირა შოდაი იქნება. რომელთანაც აქამდე გამართული 8 ურთიერთშეხვედრიდან 5 აქვს მოგებული. მაისის ბაშოზე შოდაის ანგარიშზე 7 ქულაა.

რანგით მეორე, ჯურიო ლიგაში გაგამარუს შიკონათი მოჭიდავე თეიმურაზ ჯუღელმა კი მიმდინარე ბაშოზე კიდევ ერთი წარუმატებელი ბრძოლა ჩაატარა და 2 მოგების წილ უკვე 10 წაგება დაუგროვდა.

კოზა კოზახიძე

◎ 64

ქართული ეტიუდის ფუძემდებელი

გია ნადარეიშვილი (1921-199() — საერთაშორისო დიდოსტატი, ქართული საეტიუდო სკოლის ფუძემდებელი, საერთაშორისო არბიტრი საჭადრაკო კომპოზიციაში (1960), მრავალი წიგნის ავტორი, პროფესიით ექიმი-ნევროპათოლოგი. 1938 წლიდან გარდაცვალებამდე გამოაქვეყნა 400-მდე ეტიუდი, ამათგან, ამათგან 75 პრიზებით დაჯილდოვდა, მათ შორის 40 — პირველით. საბჭოთა კავშირის 12 ჩემპიონატის ფინალისტია (1948-85).

გ. ნადარეიშვილის ნაშრომებში ყველაზე პოპულარულია „ეტიუდი დიდოსტატების თვალით“ (1982). ამ წიგნში ბ-ნ გიამ თავი მოუყარა მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების მიერ კომენტარებით შერჩეულ ეტიუდებს და, რაც მთავარია, საჭადრაკო დაფებთან დაპირისპირებული „მტრები“ დაამეგობრა.

1981 წელს ქობულეთში, სანატორიუმ „ივერიაში“ ბ-ნ გიასთან შემოქმედებითი ურთიერთობისას, ხსენებული წიგნის გამოცემაში თავისი წვლილი მიუძღვის მიხეილ ბოტვინიკს. სწორედ იმ პერიოდში, ქობულეთის „ხავერდოვან სეზონში“, ბედმა მარგუნა ახლოს გავცნობოდი ლეგენდარულ მსოფლიო ჩემპიონს, რაც მოგვიანებით პრესაში ავსახე („საქართველოს რესპუბლიკა“ — 27.08.2005 წ. და „სარკმელი საქართველოსი“ — 23.09.2003 წ.).

გ. ნადარეიშვილის ეტიუდები გამორჩევა ლამაზი და გაბედული მანევრებით, მხოლოდ მისეული გემოვნებითა და სისადავით.

◎ ეს საინტერესოა

საფეხბურთო მოზაიკა

კპარს მომდგარი მსოფლიო ჩემპიონატის მოლოდინში სტატისტიკოსები სპორტის მოყვარულებს ნაირ-ნაირ სახალისო ინფორმაციას სთავაზობენ. მათ შორის:

რუსეთული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მაღალმთიანი მატჩი ზღვის დონიდან 2064 მეტრზე შედგა. ის 30 წუთს გაგრძელდა და ანგარიშით 3:3 დამთავრდა;

2014 წელს პოდმოსკოვიეს ქალაქ ლუხოვიცაში ყველაზე მასობრივი საფეხბურთო შეხვედრა ჩატარდა, რომელიც 24 საათს გაგრძელდა. ამ დროის მანძილზე მოედანზე ასი გუნდი გამოვიდა, რომელთა მოთამაშეებმა 250 გოლი გაიტანეს;



მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩი 2015 წელს ინგლისის „საუთჰემპტონის“ სტადიონზე მოეწყო: ორი 18-18-კაციანი გუნდი 102 საათის განმავლობაში თამაშობდა. შეხვედრა ანგარიშით 910:725 დამთავრდა;

ევროპაში ყველაზე სწრაფი გოლი ყირიმელმა რომან ვოინაროვსკიმ 2008 წელს გაიტანა. „კრიმტეპლაცას“ ამ მოთამაშემ ბურთი მსაჯის სასტვენის შემდეგ 3,5 წამში შეაგდო;

საფეხბურთო კარიერაში ყველაზე მეტი გოლი ბრაზილიელმა პელემ გაიტანა — 1279 ბურთი;

ყველაზე ძლიერი დარტყმა 2011 წელს ბრაზილიელმა ჰალკმა დააფიქსირა, რომელიც პორტუგალიური „პორტუს“ მაისურით გამოდიოდა. მან ბურთს ისეთი ძალით დაარტყა, რომ მეტოქის კარში ის საათში 214 კილომეტრის სიჩქარით შევარდა;

მსოფლიოში ყველაზე ხმაურიანი გულშემატკივრები სტამბოლის კლუბ „ბეშიქთაშს“ ჰყავს. 2017 წელს გერმანიის „ლაიფციგთან“ შეხვედრის დროს ფანატების ყვირილის ხმამ 141 დეციბელის დონეს მიაღწია (ასეთი დონის ხმაურს ამფრენი „ბოინგის“ ძრავები გამოსცემენ);

ბურთის „მთავარი“ ვირტუოზია ინგლისელი დენ მაგნესი: მან ფეხებითა და თავით ბურთი 24 საათის განმავლობაში კენწლა.

ნინო ალექსანდრია

◎ მწვრთნელი

ანჩელოტიმ „ნაპოლი“ ჩაიბარა

კარლო ანჩელოტი „ნაპოლის“ მთავარი მწვრთნელია. როგორც იტალიური გუნდის ვებ-გვერდი იტყობინება, 58 წლის სპეციალისტმა კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სეზონში ანაზღაურების სახით 6.5 მილიონ ევროს მიიღებს:



„საფეხბურთო კლუბი „ნაპოლი“ გამცნობთ, რომ კარლო ანჩელოტისთან შეთანხმება მიღწეულია და 2018-2019 წლების სეზონიდან მთავარი მწვრთნელი იქნება“, — ნათქვამია განცხადებაში.

კარლო ანჩელოტის აქამდე „პარმაში“, „იუვენტუსს“ და „მილანში“ უმუშავია, რომელიც 2009 წელს დატოვა და ეს მისი პირველი დაბრუნებაა სამშობლოში, ბოლო 9 წელიწადში კი „ჩელსის“, „პსჟ“-ს, „რეალსა“ და „ბაიერნს“ ედგა სათავეში. რაც შეეხება აწ უკვე ყოფილ თავკაც მაურიციო სარის, რომელიც ნეაპოლიტანელებს 2015 წლიდან წვრთნიდა, მას აურელიო დე ლაურენტისმა მადლობა გადაუხადა:

„მადლობას ვუხდით მაურიციო სარის დიდებული სამუშაოსთვის, რომელიც „ნაპოლიში“ გასწია. მან შექმნა შესანიშნავი სათამაშო სტილი. ყოჩაღ, მაურიციო“, — დაწერა სოციალურ ქსელში „ნაპოლის“ პრეზიდენტმა.

მაურიციო სარის იტალიურ მედიაში ლონდონის „ჩელსისა“ და სანქტ-პეტერბურგის „ზენიტს“ უკავშირებენ.

გიორგი შოთაძე

კონკურსი „საქართველო — 50“ (1972)
I პრიზი



ყაიმი

1. ♘c4! ♕c5 2.♗g8! ♔g1
3. ♕b8 ♕c1+ 4.♔d2 ♕c2+
5. ♔d1 a1♘ 6.♕:b4+ ♕b2
7. ♕c4! — ქიზილიანი ყაიმი.

ოქროვნის ქიზილის ფეხურუკლიან
და ყაიმი გვიდუკვლია

გია ნადარეიშვილი
1986 წ.



მოგება

1. ♕d3+ ♔g2 2.♗d5! a1♘
3. ♕b3+ ♔g1 4.♔c2! ♘d4
5. ♕b2+! ♔g1 6.♕a2X 5...♔g1
6. ♕a2 (b2)X

ოქროვანი ქიშა ♕b2! და გვიმოუვლია
უყმოთ.

„შახმატნაია მოსკვა“, 1970
I პრიზი



ყაიმი

1. e4 h4 2. ed hg 3.d6+ ♔g6
4. ♔g3 b7 g2 5. a8♘ g1♘ 6.♘f8+ ♔g6
7. ♘e7+ ♔g5 8.♘:f7

ოქროვანი ♘ოზიციებიან თანაბარი ენდშპილი
— ყაიმი

მოამზადა
თამაზ შენგელია

ყველაზე დიდი აჩრდილ-ქალაქები

რატომ ცარიელდებოდა დასახლებული პუნქტები

მსოფლიოში ძალიან ბევრია ამა თუ იმ მიზეზით მიტოვებული ქალაქი - ზოგიერთი დაცარიელდა საუკუნეების წინ და ეს იყო დაკავშირებული მთელი ცივილიზაციების გაქრობასთან. ზოგიერთი კი მიტოვებულ იქნა ჩვენს დროში — ეკონომიკური მდგომარეობის, ომის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფების გამო.

10 ყველაზე დიდი დაცარიელებული ქალაქი:

10. კრაკო, იტალია, მოსახლეობა შეადგენდა 1800 ადამიანს

პატარა ქალაქი იტალიაში, ბაზილიკატას რეგიონში. დაარსების დღიდან ქალაქი იტანჯებოდა დამპყრობლების და მიწისძვრებისგან. გასული საუკუნის ბოლოს, მორიგი ბუნებრივი კატასტროფის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ კლდეები, რომლებზეც იდგა ქალაქი, ჩამოშლის პირასაა. ამიტომაც მოსახლეობა იძულებული გახდა, დაეტოვებინა სახლები. კრაკო იწვევს დიდ ინტერესს ტურისტებს შორის, თუმცა ორგანიზებული ტურები ან ექსკურსიები არ ტარდება იმის გამო, რომ კლდე შეიძლება ჩამოიშალოს ნებისმიერ მომენტში.

9. კაიაკეი, თურქეთი, მოსახლეობა შეადგენდა 2000 ადამიანს



პატარა ქალაქი, რომელიც დაცარიელდა პირველი მსოფლიო ომის დროს. იქ ცხოვრობდნენ ბერძნები, თუმცა ომის დროს დაიწყო თურქების მიერ მათი შევიწროვება. ამის გამო ისინი გადასახლდნენ საბერძნეთში. ამავე დროს თურქებმა არ მოინდომეს კაიაკეიში ცხოვრება და ის დარჩა დაცარიელებული.

8. სენტრეილია, აშშ, მოსახლეობა შეადგენდა 2 751 ადამიანს

ქალაქი მდებარეობს აშშ-ის შტატ პენსილვანიაში. 1962 წელს იქ დაიწყო მიწისქვეშა ხანძარი, რომელიც არ ჩამქრალა დღემდე. ამის გამო ქალაქი თითქმის ბოლომდე დაიცალა — ამჟამად იქ ცხოვრობს მხოლოდ 7 ადამიანი. სენტრეილია ითვლება აშშ-ის ყველაზე პატარა ქალაქად.

7. ფორდლანდი, ბრაზილია

ჰენრი ფორდმა შექმნა ბრაზილიის ჯუნგლეში აშშ-ის პატარა კუნძული — ქალაქი ფორდლანდი, რომლის დანიშნულებაც იყო ადგილობრივი კაუჩუკის პლანტაციების მომსახურება. საბოლოო ჯამში, ამბიციურობით გამორჩეული პროექტი აღმოჩნდა წარუმატებელი. დაარსებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ქალაქი აივსო ამერიკელი სპეციალისტებით და ადგილობრივი მუშებით, ამოქმედდა ელექტროსადგური, საავადმყოფო, ბიბლიოთეკა, გოლფ-კლუბი, მაღაზიები, საცხობები, სამკერვალოები, და ა.შ. ფორდლანდის მოსახლეობა გადაგილდებოდა „ფორდის“ ავტომობილებით მაღალხარისხიან გზებზე და ერთობოდა სამეჯლისო ცეკვებით. თუმცა,

ყველაფერი დასრულდა 1930 წელს, როდესაც ადგილობრივმა მუშებმა ატეხეს აჯანყება, რომელმაც გამოიწვია ამერიკელი სპეციალისტების გაქცევა — ამის მიზეზი იყო ის, რომ კაუჩუკმა ვერაფრით ვერ გაიხარა, მიღებული შემოსავლები კი არ იყო საკმარისი ხელფასების დარიგებისთვის. ამის შემდეგ ჩატარდა ნიადაგის ექსპერტიზა, რომელმაც აჩვენა, რომ მოსავალი არ იქნება, ისევე როგორც მოგება. ფორდმა სცადა ქალაქის გაყიდვა, თუმცა ინტერესი არავის არ გამოუჩენია. ბრაზილიის მთავრობა წლების მანძილზე ინახავდა ფროდლანდის მცხოვრებლებს, თუმცა, ერთხელაც მივიდა დასკვნამდე, რომ გაკოტრებული ქალაქის რჩენას აზრი არა აქვს. საბოლოოდ, მოსახლეობამ დატოვა ფორდლანდი.

6. კუნძული ხასიმა, იაპონია, მოსახლეობა შეადგენდა 5 259 ადამიანს

ქალაქი კუნძულზე დაარსდა 1810 წელს, როდესაც იქ აღმოაჩინეს ნახშირი. 1930-იან წლებში ის უკვე იყო სერიოზული სამრეწველი ცენტრი — მაღაროების გარდა იქ ფუნქციონირებდა მსხვილი სამხედრო ქარხნები. თუმცა, ათწლეულების შემდეგ მაღაროები გამოიფიტა და 1974 წელს ისინი დაიხურა, სულ რამდენიმე კვირაში კი ქალაქი სრულიად დაცარიელდა.

სანთელი

საქართველოს სატელეკომუნიკაციო სისტემის ძველი თაობის რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკი

გურამ ანთიძე

გურამ ანთიძემ ნამდვილად ღირსეულად მოიხადა ვალი თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე — კავშირგაბმულობის სისტემაში თავისი 61-წლიანი უანგარო მოღვაწეობით, მათ შორის 11 წელი სატელეკომუნიკაციო კომპანია ახალ ქსელებში.

ყველას, ვისაც მის გვერდით უმუშავია, კარგად ახსოვს მისი დაუღალავი შრომა და საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი გურამის სული და დაუმკვიდროს სასუფეველი ცათა შინა.

ახალი ქსელების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ გურამ ანთიძის ოჯახს და მის ახლობლებს.

სატელეკომუნიკაციო კომპანია ახალი ქსელები.

სანთელი

პალიკო კინტრაია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბავშვობის მეგობარი, ღვაწლმოსილი ინჟინერ-კერამიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

რამაზ მამალაძე

ის იყო მაღალი ზნეობრივი თვისებებით გამორჩეული, დაუღალავად მშრომელი ადამიანი, ერთგული მეგობარი, ნიჭიერი მეცნიერი, აღიარებული პედაგოგი, ოჯახის ღირსეული მამა.

მისი სამეცნიერო მონოგრაფია „კერამიკული მასალები“ გამოქვეყნებული რუს და იაპონელ თანაავტორებთან ერთად, იყო სამაგიდო წიგნი კერამიკული მრეწველობის სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკებისათვის. რამაზ მამალაძე წლების მანძილზე იყო თბილისის კერამიკული ქარხნის წარმატებული ხელმძღვანელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აღიარებული პედაგოგი.

წლების მანძილზე ინტენსიურად მუშაობდა ქ. თბილისის და ასევე მთელი რესპუბლიკის, სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად საჭირო ღონისძიების შემუშავებაში კერამიკული მრეწველობის დარგში.

მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში.

გამოსვენება 16 V, 14 სთ-ზე, წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან, მისამართი: გურამიშვილის გამზირი №2, კინოთეატრი „საქართველოს“ მიმდებარე ტერიტორია.

სახლის მისამართი: ც. დადიანის №319.

დეკანოზი მამალაძე მეუფე საბამ და მეუფე ნიკოლოზმა მოინახულეს

დეკანოზი **გიორგი მამალაძე მატროსოვის ციხეში სინოდის წევრებმა მოინახულეს. ადვოკატ მიხეილ რამიშვილის განცხადებით, დეკანოზთან ამერიკის ეპარქიიდან მეუფე საბა და მეუფე ნიკოლოზი იმყოფებოდნენ.**

უფლებადამცველი შეხვედრის დეტალებზე არ საუბრობს, თუმცა ამბობს, რომ ორივე ეპისკოპოსს, ე.წ. ციანიდის საქმესთან დაკავშირებით ჯანსაღი შეხედულება გააჩნია.

“ეს გახლდათ ამერიკის ეპარქიიდან მეუფე საბა, მეუფე ნიკოლოზი. ეს მათი პირველი შეხვედრაა. იყო გარკვეულ საკითხებზე საუბარი და გარკვეული პოზიცია და გარკვეული შეხედულებები ორივე ეპისკოპოსს გააჩნია. ალბათ უპრიანი იქნება, რომ ამ კითხვებზე და ამ საკითხზე პირადად თუ გასცემენ პასუხს. როდესაც არიან გარკვეული სასულიერო პირები, რომლებიც ჯანსაღად აღიქვამენ რეალობად, ეს პოზიტივად შეიძლება ჩაითვალოს და ჯანსაღ აზროვნებად. მე არავის აზროვნებას არ ვუწუნებ, ყველას პატივს ვცემ და შესაბამისად მათ აქვთ ჩამოყალიბებული პოზიცია, რომელზეც დეტალურად იყო საუბარი,“ — განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

ს/ს „ელექტრონიკა-94“
2018 წლის 27 ივნისს, 15 საათზე ატარებს აქციონერთა საერთო კრებას

დღის წესრიგი:

1. 2016 წლის 31 დეკემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე სამეურნეო ანგარიში.

მომხსენებელი მთ. ბუღალტერი გ. ჩიქოვანი.

2. ს/ს „ელექტრონიკა-94“-ის სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.

მისამართი: კ. გამსახურდიას №14.

გილოცავთ, კოლეგა!

კაცი, რომელიც უხდება და სჭირდება ქალაქს...

ლამაზი, დაბურული ქალაქის შუაგულისთვის დამახასიათებელი პატარა, ოაზისად ქცეული ეზო და საუკუნენახევარს გადაცილებული სახლი მუდამ ღიაა ძირძველი თბილისელებისთვის. პაპის, თბილისში სახელგანთქმული დასტაქრის, ვასილ ტურაბელიძის ოჯახში დაბადებული და გაზრდილი, ახლა უკვე 70 წლის იუბილარი ოთარ ტურაბელიძე სასოებით უფრთხილდება ოჯახის რელიკვიას — უძველეს წიგნებს, ნახატებს, ნივთებსა და რაც მთავარია, ტრადიციას, ქართულ ტრადიციას, რომელზეც აღიზარდა. მეორე პაპა, ცნობილი მწერალი პოლიო აბრამიაც ამავე უბანში ცხოვრობდა. ახლაც ახსოვს ხალხმრავალი სტუმრიანობა — გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჩიქოვანი და სხვა ცნობილი მწერლები და მამის — ოთარ ტურაბელიძე უფროსის დიდი სამეგობრო.

„დედისგან მახსოვს, ყველასგან გარიყული ტერენტი გრანელი აქ პოულობდა ნავსაყუდელს“ — იხსენებს ოთარი. მან სხვა გზა აირჩია — ჩვენი დედაუნივერსიტეტი დაამთავრა და გეოლოგი გახდა, და მთელი საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარა. პროფესიაში წარმატებული და დაფასებულიც გახლდათ, მაგრამ აირია დრო და ოთარმაც პროფესია შეიცვალა, უკვე სამ ათეულ წელზე მეტია, ჟურნალისტიკას ემსახურება, ქართულ სიტყვას ეფერება ახლა უკვე საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ნიკო ნიკოლაძისა და სერგი მესხის პრემიების ლაურეატი, „საქართველოს რესპუბლიკის“ ეკონომიკური და საქალაქო მეურნეობის მიმომხილველი, ჟურნალისტთა დიდი საძმოს სული და გული, ცოცხალი ენციკლოპედია, ნამდვილი ერუდიტი, ყველასთვის უახლოესი, საყვარელი ადამიანი.

70 — „მაი აფერი“, ეს მხოლოდ საპასპორტო წლებია, თორემ შენისთანა ენერგიული, დაუღლელი, საქმის ერთგული პროფესიონალი, თბილის-ქალაქის მართლაც უერთგულესი, კარგზე კარგი შვილი, ოქროსუბნელი ოქრობიჭი... რა დროს სიბერეა...

ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ჩვენო საამაყო მეგობარო! შენ ის ადამიანი ხარ, რომელიც ასე უხდება და სჭირდება ქალაქს, ქართულ ჟურნალისტიკას, 100 წლის „საქართველოს რესპუბლიკას“...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები

დედაქალაქი 400 ძირი ჭადრით გალამაზდება



გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური დედაქალაქის სხვადასხვა ქუჩაზე ჯამში 400 ძირ, 3 მეტრზე მაღალ აღმოსავლურ ჭადარს რგავს.

მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე 100 ძირი, ევროპის ქუჩაზე (აეროპორტის გზატკეცილი) 197 ძირი, ერისთავის ქუჩაზე 5 ძირი, გურამიშვილის გამზირზე 16 ძირი, მოსკოვის გამზირსა და ქეთევან წამებულის გამზირზე 40 ძირი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე 21 ძირი, კოსტავასა და ვარაზისხევის ქუჩებზე 6 ძირი, ხოლო წერეთლის გამზირზე 15 ძირი აღმოსავლური ჭადარი დაირგვება.

გამწვანების სამუშაოები, რომელსაც შპს „გამწვანება 2016“ ახორციელებს, 31 მაისამდე დასრულდება.

ბათუმში 1 მილიონი ყვავილი და 4 ათასამდე ხე ირგვება

ბათუმის მერიის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური გამწვანების სამუშაოებს განაგრძობს. სამუშაოების ფარგლებში წლის ბოლომდე დაგეგმილია 1 მილიონი სეზონურად მოყვავილე ერთწლოვანი ყვავილისა და 4 ათასამდე ხის დარგვა.

სეზონურად მოყვავილე მცენარეები გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის სანერგეში არის გამოყვანილი, რომლებიც ირგვება როგორც სკვერებსა და გზაგამყოფ გაზონებში, ასევე მრავალბინიანი კორპუსების ეზოებში.

გასაცინებელი ა(მ)ბები

საკვირველი ხუმრობა

საკვირველი რამ არის ეს თეატრი, ავტორი ერთ პიესას წერს, მსახიობები კი თამაშობენ მეორეს, შემდეგ მაყურებელი სულ სხვაგვარად იგებს, კრიტიკოსები კი სულ სხვა, მეოთხე გაგებაზე წერენ.

პროფესიის ცვლა

ორი ცირკის მსახიობი ქუჩაში ერთმანეთს ხვდება:

— რა მოუვიდა შენს მუცლით მეზღაპრე მეგობარს, ცირკში რატომ აღარ გამოდის?

— ზოომაღაზიაში სამუშაოდ გადავიდა .

— იქ რას აკეთებს?

— მოლაპარაკე თუთიყუშებს ყიდის.

წარმატება

ახალგაზრდა დრამატურგი, რომლის პიესაც უკვე მესამე დღეა სცენაზე იდგმება, დირექტორს ურეკავს:

— დღეს როგორ არის საქმე?

— უამრავი ხალხია თეატრთან.

— ესე იგი, წარმატებაა?

— არა, ხანძარია!

საშინელი შურისგება

ორი მსახიობი ქალი მესამეზე ჭორაობს:

— როგორც იქნა, ზულიამ შური იძია იმ კრიტიკოსზე, რომელიც მაგაზე მუდამ ცუდად წერდა.

— როგორ იძია?

— ცოლად გაჰყვა.

რეკვიზიტი

ჰოლივუდის კინოვარსკვლავმა თავისი მოსაზრება გამოთქვა რეკვიზიტზე:

— სცენარში თუ თრობაა, ნამდვილი ვისკი უნდა ვსვათ! — თქვა მან.

— კარგი, — დაეთანხმა რეჟისორი. — მაგრამ ერთი პირობით, მკვლელობის სცენაში ნამდვილი შხამი გამოვიყენოთ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

◎ ინტერნეტიდან

პერუცების გვარის ახალი სიამაყე

როდესაც იტალიაში გვარ პერუცის ახსენებენ, ყველას უმალ თვალწინ იტალიის საფეხბურთო ნაკრების აწუკვე ლეგენდარული მეკარე ანჯელო პერუცი წარმოუდგება. თუმცა, ამ ბოლო წლებში პერუცების გვარმა სახელი სხვა, უფრო გულის ამაჩქროლებელი კუთხითაც გაითქვა.

აპენინებზე უკანასკნელ პერიოდში ნამეტნავად პოპულარული შეიქნა ახალგაზრდა მოდელი მარია პერუცი, რომელიც მისთვის ერთობ ბედნიერ და დიდებულ 2015 წელს აპენინელ ასულთა საუკეთესო კვარცხლბეკზე ავიდა და „მის იტალიის“ წოდებაც დამსახურებილად მოიპოვა.



მარია პერუცის ცნობადობა და პოპულარობა ბოლო წლებში განუხრელად იზრდება და ამა წლის იანვარში იგი იტალიის ყველაზე პოპულარულ და გულმისავალ მოდელთა ათეულშიც დასახელდა, რაც ნამდვილად დიდი წარმატებაა. ასეთ დროს აბა ვიღას გაახსენდება იტალიისთვის ხელებგადატყავებული ანჯელო პერუცი?!...

როსტომ რაჭველიშვილი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4491; ევრო - 2.8711;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2710;
100 რუბლი - 3.9712; თურქული ლირა - 0.5054;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4487;
1000 სომხური დრამი - 5.0738.

ამინდი 25 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+27
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge